შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №6.ივნისი. 2012.

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის თორმეტი კეისრის ცხოვრების თარგმანი, რომლის პრეზენტაციაც შედგა, ორიგინალიდან, ლათინური ენიდანაა შესრულებული, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ გამოცემას. მთარგმნელმა აღნიშნა, რომ ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა დასრულებულია და მალე დარჩენილი ნაწილიც გამოქვეყნდება.

გვ. 3 ⟶

„უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ჩვენთან ხშირად მოდიან სკოლაში, გვიკითხავენ ლექციებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, გვაცნობენ ფაკულტეტის საქმიანობას, მნიშვნელობას. ამ ურთიერთობის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფაკულტეტის დეკანს მარინა ქორიძეს, ბიოლოგიის დეპატამენტის ხელმძღვანელს დავით ბარათაშვილს, ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტთა ბიომრავალფეროვნების კლუბის ხელმძღვანელს ეთერ ჯაყელს, რისთვისაც თქვენი გაზეთის საშუალებით მათ მადლობა მინდა გადავუხადო“.

გვ. 4 ⟶

თურმე ყოფილან ქვეყანაზე ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სტუდენტების გულის გათბობა და სასიკეთო საქმეების კეთება, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ლექტორები, უფალი იყოს მათი შემწე.

დაწყებითი განათლების კურსი ძალიან დიდ მადლობას გიხდით ოცნების ახდენისთვის. ეს დღეები მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

გვ. 5 ⟶

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე სტუდენტებს შეხვდნენ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ და ახალი და მიმდინარე მიზნობრივი პროგრამები გააცნეს. აჭარის მთავრობის დაფინანსებით სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამა შეიქმნა, რომელიც უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის დაფარვას ითვალისწინებს. მრავალწლიანი პროგრამა ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ სტუდენტებს, ობოლებს, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ტურიზმის განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ტურიზმის საბაზრო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ტურიზმის განათლების რეფორმას, საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აჭარის მთავრობის დაფინანსებით 2006 წლიდან ახორციელებს უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივ პროგრამას, რომელიც ემყარება ევროპის რეგიონთა ასამბლეის გაცვლით პროგრამას „ევროოდისეა“. სტაჟირება ხორციელდება ევროპის 8 ქვეყანაში: საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია, შვეიცარია, პორტუგალია, გერმანია, იტალია და ავსტრია. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე 18-დან 30-წლამდე ახალგაზრდას. პროგრამის ფარგლებში სტაჟირება სულ 80-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა. 2012 წელს აჭარის მთავრობამ აღნიშნული პროგრამა დაფინანსა 40 000 ლარით და სტაჟირებას 15 ახალგაზრდა გაივლის.

2011 წელს აჭარის მთავრობის ინიციატივით შეიქმნა „განათლების ფონდი“, სადაც უცხო ენების შესწავლა შეუძლია აჭარაში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. 2012 წელს რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ განათლების ფონდის ფილიალებში გაიხსნა კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსები.

2012 წელს სტუდენტებისა და უცხოეთში სწავლის მსურველთათვის დაიწყო 130 ქვეყანის 8 500 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღიარებული TOEFL-ის შემსწავლელი უფასო კურსები.

ვულოცავთ

რამინ ცინარიძე პირველი დოქტორანტია, რომელმაც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო დებულებით (ახალი მოთხოვნების შესაბამისად) წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე — ,,რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი და მიენიჭა ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხი. ცნობილმა მეცნიერებმა გივი გამსახურდიამ, ეთერ ხარაიშვილმა, ასიკო ცინცაძემ (შემფასებლები) მის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს. სადისერტაციო კომისიის ყველა წევრის მხარდაჭერაც ერთსულოვანი იყო, რისი დასტურიც მაღალი შეფასება გახლდათ.

გვ. 6 ⟶

კურსდამთავრებულების გაცილება

27 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 77-ე კურსდამთავრებულები საზეიმოდ გააცილა. უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მანტიები მოარგეს, რომლებსაც სამახსოვრო სიგელები და საჩუქრები უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ გადასცა.

კურსდამთავრებულებს გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, ალიოშა ბაკურიძემ, უმაღლესი საბჭომ თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ, ბათუმის მერმა რობერტ ჩხაიძემ და ღღეს უკვე წარმატებულმა კურსდათავრებულებმა. 2012 წლის კურსდამთავრებულების სახელით მშობლიურ უნივერსიტეტს და პროფესორ-მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა ნინო ნაკაშიძემ და მის პრიორიტეტებზე ისაუბრა. კურსდამთავრებულების გაცილებას აბიტურიენტებიც სტუმრობდნენ, რომლებმაც უპირატესობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიანიჭეს.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემედეგ უკვე ყოფილმა სტუდენტებმა ცაში მანათობელი ფრანები გაუშვეს. იყო საზეიმო ფოიერვერკიც. საღამოს ჟურნალისტი ნელი აგირბა უძღვებოდა. ღონისძიების კულმინაცია ჯგუფ „მგზავრების“ კონცერტი გახდა, რომელმაც გვიან ღამემდე გასტანა.

SPEAK UP GEORGIA-ს პროგრამის წარდგინება

სააქტო დარბაზში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის Speak Up in Georgia-ს პროგრამის წარდგინება გაიმართა. ინგლისური ენისა და ლიდერის უნარჩვევების განმავითარებელი ორთვიანი კურსი მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. სასწავლო პროგრამა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს, როგორიცაა საჯარო გამოსვლა, რეზიუმეს წერა/ინტერვიუები, ინგლისური ენის სწავლების ეფექტური გზები, ბრენდინგის ხელოვნება, ლიდერობა ახალგაზრდებში. პროგრამის მონაწილეები კონკურსის წესით შეირჩევიან, დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე.

საზაფხულო სკოლა – შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სასაზღვრო თანამშრომლობა

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სასაზღვრო თანამშრომლობის თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და ქალაქ ვენის მერიის ორგანიზებით საერთაშორისო საზაფხულო სკოლა გაიხსნა. ქართველი, უკრაინელი, თურქი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი სტუდენტები ოთხი დღის განმავლობაში ისეთ საკითხებს განიხილავენ, როგორიცაა შავი ზღვის ქვეყნების პოლიტიკა და სწორი მმართველობა, მოსაზღვრე ქვეყნების თანამშრომლობა ევროკავშირთან და მმართველობა ევროპის ახალი მმართველობის მოდელზე. ახალგაზრდები ასევე იმსჯელებენ საზღვრებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე, კონფლიქტის გადაჭრის საშუალებებზე, კონფლიქტის მქონე საზოგადოებაში მასმედიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე. საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავს პოლიტიკური ანალიზის ხარისხის გაუმჯობესებას შავი ზღვის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, აკადემიური დისკუსიის ხელშეწყობასა და კოოპერატიული ქსელის შექმნას სამოქალაქო საზოგადოებას და ახალგაზრდა პროფესიონალებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ვაჟმა რეჯებ ჟორდანიამ საჯარო ლექცია წაიკითხა

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ვაჟმა რეჯებ ჟორდანიამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველოს პირველი რესპუბლიკა, საქართველოს რესპუბლიკის მემკვიდრეობა და დღევანდელობა“. რეჯებ ჟორდანია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს 1918-21 წლების პერიოდზე ესაუბრა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასა და დაკარგვასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები გააცნო და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა. ნოე ჟორდანიას შვილი დაიბადა და გაიზარდა პარიზში. პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტი და იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში იყო ჰარიმანის ინსტიტუტის მიწვეული მეცნიერი, პროფესიონალი პიანისტი, კომპოზიტორი, მწერალი, საზღვაო ისტორიის პროფესორი, საზღვაო მუზეუმის დირექტორი, უცხოური ენების სახელმძღვანელოების ავტორი და რედაქტორი. 91 წლის რეჯებ ჟორდანია უნივერსიტეტს მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ეწვია.

პროფესორ თეიმურაზ აბესაძეს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა



აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს თეიმურაზ აბესაძეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ქართველი მეცნიერის ხელშეწყობით ტურიზმის ფაკულტეტი ახორციელებს საერთაშორისო პროექტს „ნორვეგიაში, საქართველოში და ყირგიზეთში მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება“. პროექტი ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო პროექტების ამოქმედებას და პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებას. ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში აგვისტოში ტელემარკის უნივერსიტეტში გაემგზავრებიან. ასევე შემუშავდება კურიკულიმი ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში. პროფესორ თეიმურაზ აბესაძის ხელშეწყობით მიმდინარეობს ინოვაციური და მდგრადი ტურიზმის განვითარების საკითხების კვლევა.

რექტორის საპასუხო ვიზიტი გერმანიასა და სლოვენიაში

საპასუხო ვიზიტით უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე იულიხის სამეცნიერო ცენტრსა და ლიუბლიანას უნივერსიტეტს ეწვია. ხუთი დღის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლის პირველი პირი სლოვენიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის, ფარმაციის ფაკულტეტისა და გერმანიის სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტის წარმომდგენლებს შეხვდა. 13-17 აგვისტოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იულიხის სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, აგრარული მეცნიერებების ათი მიმართულებით საზაფხულო სკოლა გაიმართება, რომელშიც მონაწილეობის მიღება სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებსაც შეეძლებათ. გერმანიის კვლევით ცენტრთან სამომავლო თანამშრომლობა მემორანდუმით განისაზღვრება, რომელსაც ზაფხულში მოეწერება ხელი. 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისში ქიმიის სპეციალობის მაგისტრანტი ლიუბლიანას უნივერსიტეტში გაემგზავრება სასწავლო კურსის გასავლელად.

მემორანდუმი ბათუმის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალიოშა ბაკურიძემ, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი შარაბიძემ, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა ერმილე მესხიამ და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა პარმენ ხვედელიძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო პროექტები, ჩატარდება კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები და საზაფხულო სკოლები. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ურთიერთგაცვლას, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების შემუშავებას, კურიკულუმებისა და ზოგადსაუნივერსიტეტო მოდულების შედგენას, ბიბლიოთეკით სარგებლობას. მხარეები იზრუნებენ საგრანტო პროგრამების მოძიებასა და განხორციელებაზე.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტთა ვორქ-შოპი თემაზე: „ჩვენი გარემო ჩვენს ხელშია“. ღონისძიებაში მომავალ ბიოლოგებთან ერთად ჭარნალის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ახალგაზრდებმა მოხსენებები გარემოსდაცვის პრობლემებზე, ზღვისპირა აჭარის იშვიათ მცენარეებზე, ცხოვრლებსა და მტირალას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების საკითხებზე წარმოადგინეს. ვორქ-შოპი ბიოლოგიის დეპარტამენტის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ბიომრავალფეროვნების კლუბისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა.

რაულ ვალენბერგისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

ცნობილი შვედი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის რაულ ვალენბერგის ხსოვნის საღამო გაიმართა. შედგა შვედი გმირისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება და გაიხსნა მისივე ცხოვრების ამსახველი პოსტერების გამოფენა. უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სანდორ სზაბორმა, ბათუმის ვიცე-მერმა ნათია სურგულაძემ და აჭარის ქართულ-ებრაული ასოციაციის ხელმძღვანელმა ერიკ კრუპნიკმა გმირის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს. უნგრეთის საელჩოს და აჭარის ქართულ-ებრაულ ასოციაციის ორგანიზებული საღამოს მონაწილეებმა პატივი მიაგეს შვედი დიპლომატის ხსოვნას და გმირის სურათთან სანთლები დაანთეს. რაულ ვალენბერგმა მეორე მსოფლიო ომის დროს შვედური პასპორტების გაცემითა და თავშესაფრების - შვედური სახლების საშუალებით ათიათასობით ებრაელი სიკვდილს გადაარჩინა. ღონისძიებას უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, დიპლომატიური კორპუსისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

უნივერსიტეტს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრი ეწვია

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრი დირკ ნიბელი დელეგაციის წევრებთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. სტუმარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და ტრენინგის „ტურიზმი მედიებში“ მონაწილე სტუდენტებს შეხვდა. მინისტრი მედია-ტრენინგის მუშაობის შედეგებს გაეცნო და პროექტის ფარგლებში ტურიზმის თემატიკაზე მომზადებული რეპორტაჟი შეაფასა. ხუთდღიანი სწავლება „დოიჩე ველეს“ აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა და III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას „მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ ეძღვნებოდა.

თანამშრომლობის კლუბი „სკოლა-უნივერსიტეტი“ დაფუძნდა

დაფუძნდა სკოლისა და ბათუმის შოთა რუსთაველისა სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის კლუბი „სკოლა-უნივერსიტეტი“. კლუბი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლის დაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის სწავლებას, შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებას, საგანმანათლებლო პროექტების მომზადებას, კულტურული ღონისიეძებების ჩატარებასა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას ისახავს მიზნად. თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სივრცეში რეფორმირების პროცესს, გააღრმავებს სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას და გაზრდის მასწავლებელთა სერტიფიცირების ხარისხს. თანამშრომლობის კლუბი განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით შეიქმნა და მასში გაწევრიანება ყველა მსურველს შეეძლება. „სკოლა-უნივერსიტეტის“ პრეზენტაცია კერძო სკოლის ნიკეს მოსწავლეების მიერ მომზადებული თეატრალიზებული წარმოდგენით - „ვაჰ, დრონი, დრონი!“ დასრულდა.

წიგნის პრეზენტაცია

20 ივნისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის საკონფერენციო დარბაზში (აუდ. № 55), ლექსიკოგრაფიის II საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში, გაიმართა გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრების“ (პროფესორ მარინა გიორგაძის მიერ ლათინური ენიდან შესრულებული თარგმანის) პრეზენტაცია. მთარგმნელი სვეტონიუსის ტექსტის თარგმანზე 1982 წლიდან მუშაობდა. ტექსტის ნაწილი, ნერონის ცხოვრება გამოიცა 2009 წელს ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგიის III ტომში, 2011 წელს კი „საოჯახო ბიბლიოთეკის“ (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი) სერიით, „100 წიგნი - ადამიანები, რომელთაც შეცვალეს სამყარო“, დაიბეჭდა კეისრების (იულიუსი, ავგუსტუსი, ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი) ცხოვრება. თარგმანებს სპეციალისტებისა და მკითხველთა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი გამოჩენილი რომაელი ისტორიკოსია, ანტიკური ეპოქის ბიოგრაფებში გამორჩეული თავისი წერის სტილითა და მანერით. მისი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, დაბადების და გარდაცვალების ზუსტი თარიღებიც უცნობია. მწერალი, რომელმაც კეისრების ცხოვების დეტალები შემოგვინახა, თავისი თავის შესახებ თითქმის არაფერს გვაცნობს.

ხელნაწერების მიხედვით, მისი სა ხელია გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი. მკვლევრები მის დაბადების თარიღად დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის საუკუნის 70-იან წლების და საწყისს ასახელებენ (თ. მომზენი, მ. მასე). ვარაუდობენ, რომ იგი რომში დაიბადა და აქვე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მისი წინაპრები მხედართა წრიდან უნდა ყოფილიყვნენ.

კარიერის თვალსაზრისით სვეტონიუსის წინ სვლა იმპერატორების — ტრაიანესა და ადრიანეს ეპოქას უკავშირდება: ტრაიანეს დროს იგი „მეცნიერების მდივანი“ გახდა, შემდეგ საიმპერატორო ბიბლიოთეკის დირექტორი, ადრიანემ კი იმპერატორის კარის მნიშვნელოვან თანამდებობაზე — ლათინურენოვანი მიმოწერის მდივნად (ab epistulis Latinis) დანიშნა. იმპერატორის კანცელარიაში მუშაობამ, იმპერატორის არქივების ხელმისაწვდომობამ დიდი სამსახური გაუწია სვეტონიუსს სამწერლო საქმიანობაში, განსაკუთრებით დაეხმარა კეისრების ცხოვრების აღწერისას.

მკვლევრები სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრების“ შექმნის თარიღად ძვ. წ. 119—122 წლებს ასახელებენ. 122 წლიდან სვეტონიუსმა იმპერატორის წყალობაც დაკარგა და თანამდებობაც; მიზეზი, სავარაუდოდ, იმპერატორის კარის ინტრიგები იყო: მას ადრიანეს ცოლთან, საბინასთან ახლო ურთიერთობაში დასდეს ბრალი.

ამ ფაქტის შემდეგ სვეტონიუსის ცხოვრებაზე ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ 122 წლის შემდეგ დაწერილი მისი თხზულებების რაოდენობის გათვალისწინებით, მკვლევრები ფიქრობენ, რომ მას კიდევ რამდენიმე ათეული წელი მაინც უნდა ეცოცხლა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ სვეტონიუსი დაახლოებით 130-160 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო.

სვეტონიუსი ცნობილი იყო, როგორც ბევრი საინტერესო თხზულების ავტორი. ამას ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები და ციტატები მოწმობს. ბიზანტიურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში („სვიდა“) სვეტონიუსის რვა თხზულებაა ჩამოთვლილი. მათგან ჩვენამდე მხოლოდ ორმა მოაღწია, ესენია: „გრამატიკოს თადარიტორთა შესახებ“ (ტრაიანეს დროს დაწერილი თხზულება „გამოჩენილ კაცთა შესახებ“) და „თორმეტი კეისრის ცხოვრება“. სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება მისი შემოქმედების მწვერვალად.

სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ პირველი თორმეტი კეისრის ცხოვრებას ასახავს. ტექსტი ჩვენამდე არასრული სახითაა მოღწეული. იულიუს კეისრის ცხოვრების პირველი თავები დაკარგულია, კერძოდ, შესავალი, მიძღვნა სეპტიციუს კლარუსისადმი, ავტორისეული სათაური, კეისრის გენეალოგია. ტექსტის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერები IX საუკუნით თარიღდება. ხელნაწერებში ტექსტი სხვადასხვაგვარადაა დასათაურებული. ზოგი ვერსიით სვეტონიუსმა თხზულება 8 წიგნად და ჰყო, მათგან ექვსი წიგნი პირველი ექვსი კეისრის ცხოვრებას ასახავს, დაწყებული იულიუსიდან, კლავდიუსის ბიოგრაფიის ჩათვლით; მეშვიდე და მერვე წიგნი კი მომდევნო სამ-სამი კეისრის ცხოვრებას ასახავს.

სვეტონიუსის მიზანი, სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ისტორიაში კეისრების განსაკუთრებული როლის წარმოჩენა იყო. სვეტონიუსი ჩამოთვლის და განმარტავს მათ სახელებსა და მეტსახელებს, მოგვითხრობს კეისრების წარმომავლობაზე, ოჯახზე, დაბადებაზე, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდზე, კარიერის ეტაპებზე, სამხედრო ოპერაციებზე, გატარებულ რეფორმებსა და, ბოლოს, გარდაცვალებაზე; განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მათ ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებზე, ადამიანურ სისუსტეებზე, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე, რაც ბიოგრაფის წყაროთა სიუხვესა და მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. თავის თხზულებაში სვეტონიუსი, ანტიკური ტრადიციის გათვალისწინებით, აერთიანებს როგორც საისტორიო, ასევე ბიოგრაფიული ჟანრის ელემენტებსა და თავისებურებებს. ერთის მხრივ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს იმპერატორთა ცხოვრებას, მეორე მხრივ, ცალკეულ იმერატორთა ცხოვრების აღწერისას, გარკვეულ წილად, უგულებელყოფს ქრონოლოგიას, კონცენტრირებულია იმპერატორთა ხასიათსა და შინაგან სამყაროზე და ამ ნიშნით აჯგუფებს მათი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის ეპიზოდებს. სვეტონუსის ბიოგრაფიათა სქემა გარკვეული რუბრიკებისაგან შედგება: ჯერ აღწერს კეისრის ცხოვრებას დაბადებიდან უმაღლესი ძალაუფლების მოპოვებამდე, შემდეგ დეტალურად აღწერს მის ხასიათს, პირად ცხოვრებას, ბოლოს კი, სიცოცხლის ბოლო წუთებსა და სიკვდილის გარემოებებს. სვეტონიუსისთვის მნიშვნელოვანია კეისრები და მათი ცხოვრება, მისთვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი დეტალები, ისტორიული ფაქტები და მოვლენები მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ამ პროცესებში მჟღავნდება კეისართა პიროვნული თვისებები. ეპოქის სხვა ისტორიულ პიროვნებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, იმდენად, რომ ავგუსტუსის ბიოგრაფიაში თითქმის არ ახსენებს მეცენატს, ნერონის ბიოგრაფიაში კი არაფერს ამბობს სენეკაზე. მართებულად და გონებამახვილურად შენიშნავს მ. გასპაროვი, რომ სვეტონიუსის თხზულება „იმპერიის ისტორია კი არა, იმპერატორთა ისტორიაა“.

სვეტონიუსის ნაწარმოებს კრიტიკა არ დაჰკლებია, მკვლევრები მიუთითებენ თხზულების სტილის უფერულობაზე, თხრობის მონოტონურობაზე, მხატვრული ხერხების სიღარიბესა და ლიტერატურული ღირებულების, ასევე ფსიქოლოგიზმის ნაკლებობაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების ცალკეულ პასაჟებს არ აკლია დრამატულობა და ექსპრესიული ემოციურობა, მაგალითად, ასეთია ნერონის სიკვდილის სცენა.

ხშირად მიუთითებენ, რომ მისი, როგორც ისტორიკოსის დიდება, ტაციტუსი მადაჯაბნა, როგორც ბიოგრაფისა კი — პლუტარქოსმა. მიუხედავად ამისა, სვეტონიუსის თხზულებას სერიოზული წარმატება ხვდა წილად. თხზულების ისტორიული ღირებულება, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების, რომის იმპერატორების — ფაქტობრივად, იმდროინდელი მსოფლიო მმართველების მნიშვნელობიდან გამომდინარე, უდავოდ დიდი იყო. საგულისხმოა, რომ მომდევნო საუკუნეებში სწორედ მისი მიბაძვით იქმნებოდა ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები. თხზულება არა ერთ ენაზე ითარგმნა. შეიძლება ითქვას, რომ სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საისტორიო თხზულება იყო, რომლის მიხედვითაც მკითხველი ეცნობოდა „დიადი და ამაყი“ რომის ისტორიას.

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრების“ თარგმანი, რომლის პრეზენტაციაც შედგა, ორიგინალიდან, ლათინური ენიდანაა შესრულებული, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ გამოცემას. მთარგმნელმა აღნიშნა, რომ ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა დასრულებულია და მალე დარჩენილი ნაწილიც გამოქვეყნდება.

პროფ. მარინა გიორგაძის მიერ შესრულებული თარგმანის შესახებ ისაუბრეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის პროფესორებმა, ცნობილმა მთარგმნელებმა ია გაგუამ და ნანა ტონიამ.

პროფ. ნანა ტონია: „მთარგმნელს კარგად აქვს გათავისებული სვეტონიუსის წერის მანერა, სტილი. ესაა არაჩვეულებრივად კარგი თარგმანი, გამართული ქართული ენით, რომელიც მხარს უმშვენებს სხვა ბრწყინვალე ქართულ თარგმანებს. იმედს გამოვთქვამ, რომ მთარგმნელი ბოლომდე მიიყვანს მის მიერ ასე კარგად დაწყებულ საქმეს და სვეტონიუსის „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ ქართველი მკითხველისთვისაც სამაგიდო წიგნად იქცევა“.

პროფ. ია გაგუა: „თარგმანის ღირსებებზე აღინიშნა და მეც ვეთანხმები. აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც კარგ თარგმანს მოეთხოვება: შესრულებულია დედნიდან, ზუსტია და კარგი ქართულითაა გადმოცემული. დიდი ინტერესით და სიამოვნებით გავეცანი. რამდენიმე ფრაგმენტი შევადარე დედანს და უეჭველია, რომ დედნიდანაა შესრულებული. დასანანია, რომ წინამდებარე გამოცემაში არაა აღნიშნული, რომ თარგმანი ლათინური ენიდანაა შესრულებული, ეს უნდა გასწორდეს მომდევნო გამოცემებში“.

თარგმანის შესახებ აზრი გამოთქვეს ასევე პროფესორებმა: შუქია აფრიდონიძემ, მარიკა ანდრაზაშვილმა, ნინო დობორჯგინიძემ, თინათინ მარგალიტაძემ, მამია ფაღავამ, ოთარ გოგოლიშვილმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მ. გიორგაძის მიერ შესრულებული თარგმანი სერიოზული შრომის შედეგია, მაღალ დონეზეა შესრულებული და კარგი შენაძენია მკვლევართათვის და მკითხველისათვის. ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია თარგმანის დარჩენილი ნაწილის გამოცემაც. გაიმართა საინტერესო დისკუსია, ზოგადად, მთარგმნელობითი საქმიანობის საჭირბოროტო საკითხებზე.

სტუდენტური დღეების გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა ნოდარ ფუტკარაძემ და ფაკულტეტის დეკანებმა „სტუდენტური დღეები - 2012“-ის, „სტუდენტური უნივერსიადა - 2012“-ისა და „სტუდენტური დღეები - აჭარა 2012“-ის გამარჯვებულ სტუდენტებს მედლები, თასები, სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით შემოქმედებითი ჯგუფები თურქეთში გაემგზავრებიან და რიზეს უნივერსიტეტში კონცერტს გამართავენ. ფესტივალში „სტუდენტური დღეები 2012“ ქვეყნის 30 უმაღლესი სასწავლებლის 2000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით წარმოეჩინათ. კონკურსი ჩატარდა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ნომინაციებში.

სტუდენტური დღეები თბილისში, სიღნაღში, ქუთაისსა და ბათუმში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. თბილისში, კუს ტბაზე ახალგაზრდული ფესტივალის „სტუდენტური დღეები 2012“ დასკვნითი საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე თეატრალიზებული სანახაობით, თანამედროვე და ხალხური ცეკვით, სიმღერითა და იუმორისტული წარმოდგენით ფესტივალის ფარგლებში გამოვლენილი საუკეთესო სასწავლებლები წარსდგნენ. დასკვნით საღამოზე ჟიურიმ „სტუდენტური დღეები 2012“-ის გამარჯვებულები გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში. დიდი წარმატება ხვდა წილად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედებით ჯგუფებს. სტუდენტებმა პირველობა მოიპოვეს სხვადასხვა ნომინაციაში, კერძოდ:

- „საუკეთესო თანამედროვე ცეკვა“ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ცეკვის ჯგუფი “M-STYLE 13”;
- „საუკეთესო თანამედროვე ინსტრუმენტული ჯგუფი“ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბენდი „ლაზგური“;
- „სტუდენტური დღეების აღმოჩენა“ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯგუფი “M_STYLE”.

„უნივერსიადა - 2012“-ში საქართველოს 25 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები მონაწილეობდნენ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა შვიდ სახეობაში წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2 ოქროს, 1 - ვერცხლის და 3 - ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს; თავისუფალ ჭიდაობაში 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი, მშვილდოსნობაში - ორი ოქროს, 1 ვერცხლის და 1- ბრინჯაოს.

ახალგაზრდა სპორტსმენებმა წარმატებულად იასპარეზეს ასევე მკლავჭიდის, მძლეოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის პირველობაზე. მკლავჭიდში 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი, მძლეოსნობაში - 1 ვერცხლის, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართული იყო აგრეთვე აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ქობულეთში გამართულ „სტუდენტური დღეები — აჭარა 2012“-ში. უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთმა“ ცეკვის „ქალთა ხორუმის“ შესრულებით საუკეთესო ორიგინალური ნომრის ნომინაციაში გაიმარჯვა. მინი-ფეხბურთის პირველობაზე რსუ-ს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენი გარემო ჩვენს ხელშია

„სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე, მხოლოდ მის გაშლილ გულის ფიცარზე“

მართლაც, ამოდენა სამყაროში მხოლოდ დედამიწას ერგო ეს დაფასება, მხოლოდ მის მკერდზე დიან ყვავილების ღამაზი მდელოებით დამშვენებული დედამიწის ცისფერი ძარღვები - მდინარეები, მხოლოდ მას ადგას თავზე სამყაროს გვირგვინი - ადამიანი.

და .... ამ უნიკალურ პლანეტას, სწორედ ადამიანის მიერ აქვს მიყენებული ამდენი ეკოლოგიური პრობლემა და გასაჭირი, ამიტომ ისევ ადამიანმა უნდა უმკურნალოს მას.

„ჩვენი გარემო ჩვენს ხელშია“ და უფროსი თაობების გულგრილობით (ან უცოდინარობით) გაფუჭებული საქმე მომავალმა თაობებმა უნდა გამოვასწოროთ, ამისათვის კი კარგად, სწორად უნდა ვერკვეოდეთ ამ პრობლემებში.

ამიტომ იყო, რომ დიდი ინტერესით მივიღეთ მონაწილეობა 5 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში: „ჩვენი გარემო ჩვენს ხელშია“, რომელიც გაიმართა ბიოლოგიის დეპარტამენტის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ბიომრავალფეროვნების კლუბისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით. ამავე დევიზით ჩატარებულ კონფერენციაზე მოვუსმინეთ საინტერესო მოხსენებებს, დავათვალიერეთ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გავეცანით მის ისტორიას, დღევანდელობას, მნიშვნელობას.

ჩვენი სკოლის - ჭარნალის საჯარო სკოლის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ურთიერთობას უკვე ტრადიცია ჰქვია. ბევრი წელია, რაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში ჩატარებულ შავი ზღვის, დედამიწის დღის, გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში: ვუსმენთ და სტუდენტებსაც ვუზიარებთ ჩვენს აზრებს, ერთად ვთამაშობთ სახალისო ინტელექტუალურ თამაშს: „რა? სად? როდის?“ ეკოლოგიის საკითხებზე, ერთად ვასუფთავებთ ზღვის სანაპიროს, ვრგავთ ნერგებს თიკერის ტყე-პარკში და ა.შ. მოსწავლეები ვეცნობით საუნივერსიტეტო ცხოვრებას, აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ვუმეგობრდებით სტუდენტებს.... ეს ურთიერთობა ცალმხრივი არ არის. თავის მხრივ უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ჩვენთან ხშირად მოდიან სკოლაში, გვიკითხავენ ლექციებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, გვაცნობენ ფაკულტეტის საქმიანობას, მნიშვნელობას. ამ ურთიერთობის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფაკულტეტის დეკანს მარინა ქორიძეს, ბიოლოგიის დეპატამენტის ხელმძღვანელს დავით ბარათაშვილს, ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტთა ბიომრავალფეროვნების კლუბის ხელმძღვანელს ეთერ ჯაყელს, რისთვისაც თქვენი გაზეთის საშუალებით მათ მადლობა მინდა გადავუხადო.

ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი სკოლის ქიმიის მასწავლებელს ნაირა ჯაყელს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის გამგეს მანოლი ბარამიძეს, რომლებმაც ტრადიციად ჩამოაყალიბეს სკოლაში შავი ზღვისა და დედამიწის დღის კვირეულები, გვეხმარებიან უნივერსიტეტთან ურთიერთობაში.

წელს, 5 ივნისს, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოვხატეთ ჩვენი სურვილი, რომ შემდგომი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე კვლავ ერთად აღვნიშნოთ, ოღონდ ჩვენს სოფელში და ულამაზეს ბუნებაში ჩავატაროთ გასვლითი კონფერენცია.

მოკლედ, გაფუჭებულს მხოლოდ ღრმა ცოდნით თუ გამოვასწორებთ, ამიტომ მეტი უნდა ვისწავლოთ, იქნებ გადავარჩინოთ გარემო, რომლის ბედი ნამდვილად ჩვენს ხელშია.

ჭარნალის სკოლის მოსწავლეთა სახელით
XI კლასის მოსწავლე
ქეთინო დავითიანი

დედაბრული ხელი – ქართული კრიპტოგრაფიის ერთ-ერთი სახე

საქართველო რომ ერთ-ერთი უნიკალური დამწერლობის სამშობლოა, დღეს მსოფლიოში ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ძველ საქართველოში შეიქმნა საიდუმლო დამწერლობის სისტემები. ქართული საიდუმლო დამწერლობის უძველესი ნიმუშები მე 10 საუკუნიდან გვაქვს. ქართულ კრიპტოგრამებში საყურადღებო ცნობებია წერილობითი ძეგლების გადამწერთა, გადაწერის ადგილისა თუ თარიღის შესახებ. სწორედ ქართული კრიპტოგრაფიის ერთ-ერთ ნიმუშზე გვექნება საუბარი, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქთა ბატონობის ქვეშ აჭარა ექცევა. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ოსმალთა მიერ ძალით თავს მოხვეულ მაჰმადის სჯულს და მის რეჟიმს. დამპყრობლები ცდილობდნენ აჭარლებში მიეძინებინათ ეროვნული გრძნობა, დაევიწყებინათ ყველაფერი, რაც მათ მამა-პაპასთან აკავშირებდათ. ყოველ აჭარელს, შავშელს, ღლიანელს, მაჭახელელს და სხვათაც მეტად დიდი სისხლი აქვსთ ოსმალთ წინაშე დაღვრილი სჯულისა და ქვეყნის გულისთვინ - ასე გვაუწყებენ ქართული წყაროები იმ ავბედითი ეპოქის შესახებ.

მტარვალთა სისასტიკის მიუხედავად მოსახლეობა ლაპარაკობდა ქართულად და ქართულ ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. მათ შემოინახეს ხალხური სიბრძნის, ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები - საკუთარი იდენტურობის ძირითადი ნიშანი, ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი პირობა.

მიტაცებულ პროვინციებს ქართველი ფაშები და ბეგები მართავდნენ, არ შექმნილა არცერთი კულტურის ძეგლი, არცერთი წიგნი თუ მხატვრული ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ ჩვენებური ქალი მუდამ ერთგული ცოლი და დედა იყო. ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების არდამკარგავნი მამაკაცთან ერთად ებრძოდნენ ყოფნა-არყოფნის დამთრგუნველ განსაცდელს. ერის დიდება და მშვენება ქართული ენა დაიცვეს ხანუმებმა - მუსლიმანმა ქალბატონებმა. ამავე ხანუმების წყალობით არ მოისპო ქართული წერა.

ცნობილია, რომ აჭარისა და ოსმალოს მაჰმადიან ქართველობაში უკანასკნელ დრომდე დაცული ქართული დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო დედაბრული ხელის სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ.

დედაბრული დამწერლობის შესახებ მწირი ცნობებია სამეცნიერო ლიტერატურაში. მას გაკვრით ეხებიან: ივ. ჯავახიშვილი, სიმ. ჯანაშია, დიმ. ბაქრაძე, თ. სახოკია, აპ. წულაძე, ხ. ახვლედიანი და ა. შ. თ. სახოკია აღნიშნავს: როგორც სხვაგან, აქაც (აჭარაში მ. ხ.) ჩვენი ერის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა და იქვე წარმოგვიდგენს მაშინდელი აჭარელი ქალების დამწერლობის ნიმუშს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეულია დედაბრული ხელით შესრულებული რამდენიმე ხელნაწერი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საბუთი 1258 ა, და 1258 ბ). ამ ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი ვიღაც ქობულეთელ მუჰაჯირს რუსეთ-თურქეთის ომის (1877-78 წწ.) დროს ოსმალეთში წაუღია, ხოლო 1908 წელს უკანვე ქობულეთში დაუბრუნებია. დედაბრული ხელითაა შესრულებული ზემო აჭარის მკვიდრ სინეი ხანუმ ხიმშიაშვილის ავტოგრაფი ერთ-ერთ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტზე.აპ. წულაძე წერს: ჩემს ყმაწვილობაში ასეთი ხელით სწერდნენ გურიაში მოხუცებული ქალები .

დამწერლობის ამ სახის ნიმუშები დღესაც მოიპოვება თურქეთის საქართველოში. ფაცის რაიონის სოფელ კაბახტარში ჩვენმა მასპინძელმა, ხასან-თახსიმ ბეჟანიძემ დაგვათვალიერებინა წინაპართა მიერ აშენებული სახლი, სადაც ბუხარზე კარგადაა შემონახული დედაბრული ხელით შესრულებული წარწერა: ამ ქემერის გამკეთებელს გახსენება უნდა (ქემერი-თურქ., ბუხრის სარტყელი).

სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებული აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის საცავში, პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ აღმოაჩინა გაზეთ საქართველოს (1916 წ. № 274) ერთ-ერთ ნომერი, ამ ნომრის ასლი ქალბატონმა შუშანამ მე გადმომცა. აპოლონ წულაძის სტატიაში ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა ვკითხულობთ: საკვირველი ის არის, რომ ქართული ენა და ქართული წიგნის (წერილის) წერა არ დაუვიწყნიათ აჭარა-ქობულეთიდან წასულებს - მუხაჯირებს. ლაზისტანში (ოსმალეთის სამეფოში) ქ. ათინის მახლობლად, სოფ. ესკიტრაპიზონში ცხოვრობს 90 კომლამდე ქართველი მუსლიმანი. მათში, გარდა ორიოდე კომლისა, ქობულეთიდან არიან მუხაჯირათ წასულნი ამ 40 წლის წინად. ცხადია, მათ ნათესავები ჰყავთ დარჩენილი ჩვენში (ქობულეთ-აჭარაში) და მათთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. აპოლონ წულაძე დასძენს, რომ ესკიტრაპზონელები მენავეობას მისდევენ და ამ მეზღვაურთა ხელით იქაური ხანუმები (ქალები) აქაურებს მოკითხვის წიგნს ხშირად უგზავნიან.

დედაბრული ხელით შესრულებული ერთი ასეთი წიგნი ამ ომის შემდეგაც მიიღო ერთმა ქობულეთელმა წერს აპოლონ წულაძე. იქაური სწერს: აქაურობა რუსებმა ეიღეს, თქვენ ბედნიერი ხართ, რომ თქვენს ქვეყანაში ხართ, მოხაჯირობა არ იფიქროთ და თქვენს ქვეყანას გაუფრთხილდითო, ომამდი კი მიწერ-მოწერა, მისვლა-მოსვლა ხშირად იყო ... გაზეთ საქართველოში დაბეჭდილია სითბოთი და სიყვარულით სავსე მოკითხვის წერილი, იმის სანიმუშოდ, თუ როგორი ქართულით საუბრობენ უცხო სახელმწიფოში, უცხოთა შორის შეხიზნული ქართველი მუსლიმანები. ეს წერილი აპ. წულაძისთვის ქობულეთელ ქემალ ნოღაიდელს დედაბრული ხელით შესრულებული კარაბადინითურთ გადაუცია. შემდგომში ეს კარაბადინი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუციათ. ეს სწორედ ის კარაბადინია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ვინმე გურულ ყენიას გურიაში კაცი შემოკვდომია, ქობულეთში გადავარდნილა და იქ მუსლიმანობა მიუღია, სახელად მისთვის დილევერი დაურქმევიათ; დილევერიც ათინაში გადასახლებულა. და აი, მისი ქალიშვილი, ნოღაიდელის მეუღლე, მოკითხვის წიგნს უგზავნის თავის მულს, სულთანეს. სულთანე-ხანუმი თავის ძმასთან ყოფილა ესკიტრაპზონში და იქ გაუცნია თავისი რძალი. საოცარი სითბოთი და სიყვარულით სავსე, დედაბრული ხელით შესრულებული, წერილის მხედრულ ვერსიას გვთავაზობს აპ. წულაძე თავის სტატიაში: ბედნიერო, ბედნიერათ გასახსენებელო, ჩემო ამოსავალო სულო და სიცოცხლეო, შენი გახსენების ჭირიმე, ჩემო დერდისა და სიხარულის მოზიარევ. გწერს შენი უმსახური რძალი, დიდის სინატრულით. სელამს მოგახსენებ, დიელავ (დაო), შენი გახსენების ჭირიმე! დიელავ. სიკვდილი ჩვენთანაა, დიელავ, შემოგერე... ჩვენ თუ გვიკითხავ, ძალინ კარგათ ვართ, შენს კარქა ყოფნას თუ შეგვატყობიებ, შენ იცი და შენმა ქალობამ. დიელავ, აწი შენს ქალიშვილს, ხურმის ხანუმს, სელამი და ხეირდუას მიმირთვი. მათი გახსენების ჭირიმე... შენს ძმისწულებს თუ იკითხავთ, კარგათ არიან.

როგორც ჩანს, დედაბრულს მუჰაჯირი ქართველები იყენებდნენ ფარული მიმოწერისას. დედაბრული ხელით შესრულებული მოკითხვის წერილები შენიღბული ტიპისაა.

დიმიტრი ბაქრაძე თავის მოგზაურობაში წერს: იქ დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე, ძნელათ გაარჩევ. ყოველ შემთხვევაში ქობულურ-აჭარული წერილები, რომლებიც გურიაში მიჩვენეს, ძნელად იკითხება. მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია, გარდა ამისა სიტყვებში თანხმოვნებს შორის მეტწილად ჩართულია სრულიად არასაჭირო ხმოვანი ი . იგი ამგვარი წერის ნიმუშსაც აქვეყნებს.

იმას, რომ დედაბრული ხელით წერა აქტიურად გამოიყენებოდა გურიასა და ქობულეთ-აჭარაში, მოწმობს ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი, რომელიც სამ ფურცელზეა შესრულებული და ეკუთვნის აჭყვისთაველ რუქიე ინაიშვილი - რომანაძეს. ერთ ფურცელზე მოკითხვის წერილია, რომელიც ნაწილობრივ ამოიკითხა აწ-განსვენებულმა ალ. ქათამაძემ.

პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ ახლახანს მომაწოდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის საცავში დაცული 1962 წელს შესრულებული დედაბრული ანბანის ნიმუში, რომელიც ეკუთვნის 105 წლის ჭახათელ ხოშნეთ ბაჟუნაიშვილს. იქვე არის მინაწერი: მე მოგახუსენეფუ ხოშენეთი ბაჟუნაიშუვილი .

ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მხედრულის ტიპის დამწერლობის ერთ-ერთ გრაფიკულ მახასიათებელს ქმნის ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა. რიგ შემთხვევაში იგი საკმაოდ შორდება მხედრულს და უცნაური სოლისებური გრაფემის სახითაა წარმოდგენილი. იმდენად უცნაური, რომ სხვა ანალოგიური, ჩვენს ხელთ არსებული, ხელნაწერებისაგან საკმაოდ განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხელთ გვაქვს დედაბრული ანბანი, უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ რთული დაწერილობაა და ჭირს ხელნაწერთა სრულყოფილად ამოკითხვა, რასაც ართულებს ის, რომ სიტყვები გადაბმულია, მათ შორის ინტერვალი არ არის, არ დასტურდება არცერთი პუნქტუაციური ნიშანი. ყველა ამ ნიშანთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანია, ის, რომ თითოეული მათგანისათვის ნიშანდობლივია ხმოვანთა სიჭარბე: სუხუვა რა მოკუწერო; მოგახუსენეფ; მადულობელი ვარ... ფარული მიმოწერისთვის გამიზნული ხელნაწერები კიდევ უფრო რთულად იკითხება. ერთი რამ კი ცხადია, დედაბრული ხელი, ნიმუშია ქართული კრიპტოგრაფიული დამწერლობის სისტემისა, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში.

და ბოლოს დავსძენთ, დედაბრული , როგორც ქართული კრიპტოგრაფიის ნიმუში, ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში არ არის განხილული. საჭიროა, იგი მომავალში განვიხილოთ ანჯანურის, ანჰოეურის, ანჩინურის, სათვალავადი, უკუდაწერილობითი სარკისებური კრიპტოგრაფიული დამწერლობის სისტემების გვერდით. ქვე აღვნიშნავ, რომ განვაგრძობთ მისი გრაფიკული თავისებურებების (რითაც იგი რადიკალურად განსხვავდება ყველა სხვა ქართული კრიპტოგრაფიის სისტემებისაგან). შესწავლას და კვლევის შედეგებს გავაცნობთ მკითხველს.

მზია ხახუტაიშვილი

სტუდენტთა ნახატებისა და ნაკეთობების გამოფენა

2012 წლის 25 მაისს იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის 20 წლის თავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ნახატებისა და ნაკეთობების გამოფენა გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტების ნამუშევრები. ისინი, ვინც მოსამართლეობასა და პროკურორობაზე ოცნობენ, აღმოჩნდა რომ მრავალმხრივი ნიჭითაც ყოფილან დაჯილდოებულებნი. გამოფენას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სტუმრობდნენ. წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები იყვნენ: ანა რესულიძე, დავით ანანიძე, სოფიკო სონღულაშვილი, ლაშა დავითაძე, თამარ ოგანოვა, ნესტან აბესლამიძე,

რუსუდან ფალავანდიშვილი, ანა გორგაძე. სწორედ რამდენიმე მათგანი ესაუბრა გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ და ზოგიერთი საიდუმლოც გაანდო:

სოფიკო სონღულაშვილი 2010 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სამართამლცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი ამბობს, რომ ხატვა ბავშვობიდანვე იტაცებდა: „დღეს ხატვა ჩემი ჰობია. როგორი დაღლილიც უნდა ვიყო, როცა ვხატავ, ვმშვიდდები და სულიერად ვისვენებ. აქვე აღვნიშნავ, რომ სამხატვრო სკოლაში არ მისწავლია და შესაბამისად, არც სპეციალური განათლება მიმიღია. მიუხედავად ამისა, კონკურსებში მოონაწილეობის მიღება ყოველთვის მიტაცებდა. თბილისში, ცისფერ გალეარეაში მქონდა ნახატების გამოფენა და საქართველოს მასშტაბით მესამე ადგილი ავიღე. რასაც დღევანდელ გამოფენაზე ხედავთ, ამათგან ნახატი „ჩელუსკინები“ შესულია კატალოგში, ნამუშევარში სახელწოდებით „თათარაობა“, ლაურეატის წოდება მაქვს მიღებული“.

დავით ანანიძე: „პირველ რიგში, სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ხატვა ჩემი ჰობია. ძალიან პატარა ასაკიდან ვხატავ და არც სამხატვრო განათლება მაქვს, მაგრამ სოფიკოსგან განსხვავებით, ამ მიმართულებით კონკურსებში მონაწილეობა ნამდვილად არ მიმიღია. ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე ჩემი ნამუშევრები პირველად წარვადგინე. გვიხარია, რომ მიუხედავად ჩვენი არაპროფესიონალიზმისა, გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა დამთვალიერებელზე“.

ნახატების გარდა გამოფენაზე ორიგინალურად მოქარგული და ნაქსოვი ნივთებიც იყო წარმოდგენილი. ეს კი **ნესტან აბესლამიძის** გატაცებაა: „კინთით მუშაობა ჩემი საყვარელი საქმიანობაა, რაც 6-7 წლის ასაკში ბებიამ მასწავლა. თავისუფალ დროს ყოველთვის კინთვით ვარ დაკავებული. ჩემთვის ეს განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა“.

ლაშა დავითაძე, რომელიც პირველკურსელია, სასკოლო ასაკიდან ხატავს. სპეციალური განათლება არ მიუღია. იგი მხარდაჭერისთვის ბატონ მურმან გორგოშაძეს მადლობას უხდის.

სტუდენტთა ნახატებისა და ხელნაკეთების გამოფენა იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბატონმა **მურმან გორგოშაძემ** მოაწყო. საორგანიზაციო საქმიანობა კი სამართალმცოდნეების სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტმა **მაკა დოლიძემ** უზრუნველყო. ფოტოგამოფენა რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ახდენილი ოცნება

სიკეთის „ქმნა“ ყველას როდი ძალუძს. იგი რჩეულთა ხვედრია! რჩეულთა ხვედრი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მზე ყველასთვის ერთნაირად ანათებს, რომ ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საშუალება არსებობის, ცხოვრების

წარმართვის. კეთილი ადამიანები კი ცოტანი არიან, მაგრამ ვიდრე ისინი არიან, ქვეყანაზე ფერადი სხივები მუდამ იარსებებს.

საქართველოს ყოველი კუთხე თავისებურად ლამაზია, თითოეულ მათგანს განსხვავებული ხიბლი და ტრადიციები აქვს. ამიტომ არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ოცნებად არ ჰქონდეს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ყოველი კუნჭულის დათვალიერება.

ერთხელ ლექციის შემდეგ, თავისუფალ დროს, ჩვენი „მათემატიკის სწავლების მეთოდიკის“ ლექტორი ასოცირებული პროფესორი ბატონი შოთა მახარაძე გვიყვებოდა იმ ექსკურსიის შესახებ, რომელიც მოაწყო სვანეთში გასულ წელს დაწყებითი განათლების სპეციალობის III, ახლანდელი V კურსისთვის. გვესაუბრებოდა იმ საოცარი ბუნების შესახებ, რომელიც ღმერთმა სვანეთს უხვად უბოძა. სტუდენტებს თან ახლდა ჩვენი კურატორი, ასისტენტ პროფესორი დარეჯან გელაძე, რომელმაც წელს ძალიან დიდი სურვილი გამოთქვა, რომ ჩვენც გვენახა ეს საოცარი ადგილები. გეგმის განხორციელება ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ პრობლემური საკითხის მოგვარებას ბატონი შოთა მახარაძე შეგვპირდა, ამიტომ სურვილიც ბევრმა გამოთქვა. ჩვენ დიდი სიხარულით ველოდებოდით ამ დღეებს, რადგან ბატონი შოთა ის პიროვნებაა, რომელიც დაპირებას ყოველთვის ასრულებს.

დადგა ეს ნანატრი დღეც და 2012 წლის 14 ივნისს ბატონი შოთას და ჩვენი კურატორის დარეჯან გელაძის დიდი მონდომების წყალობით 40 სტუდენტი ორი მიკროავტობუსით გავუდექით სვანეთის გზას. გზა მართლაც ძალიან დიდი აღმოჩნდა, მაგრამ ძალიან მხიარული და საინტერესო. მგზავრობისას ერთი წუთით არ შეჩერებულა სიმღერა, ცეკვა და თამაში, რაშიც სტუდენტებთან ერთად ბატონი შოთა და ქალბატონი დარეჯანიც მონაწილეობდნენ. პირველად სადაც გავჩერდით ეს იყო ენგურჰესი, რაც ძალიან საინტერესო სანახავი იყო. შემდეგ ისევ განვაგრძეთ გზა: საოცარი სურნელება ხვდებოდა ყნოსვას, ყვავილების და თაფლის სურნელი ერთმანეთში ირეოდა, კლდეებიდან ჩანჩქერი ეშვებოდა, კავკასიონზე ისევ თოვლი მოჩანდა. ცამდე აწვდილი ქედები ტყით დაბურულიყო, მწვანეში გახვეულიყო არემარე, ამ საოცნების მნახველს შეუძლებელია არ ეთქვა: „დაილოცოს ჩვენი მადლიანი საქართველო“.

სანამ მესტიაში შევიდოდით, გავჩერდით სოფელ ლატალში ბატონი შოთას ძმადნაფიცის მუხრან გირგვლიანის ოჯახში. გაგვაოცა მათმა სტუმართმასპინძლობამ, ორმოც კაცს სახლის კარი გაგვიღეს და სამი დღის განმავლობაში ყურადღებას არ გვაკლებდნენ. ამ ოჯახისაგან შევიტყვეთ, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით უბატონო სვანეთში, სადაც ჯერ არავის უბატონია, რომელიც ჯერ

გეოგრაფიული მდებარეობით, ხოლო შემდეგ ამ ხალხის ძალიან დიდი სიმამაცით არის გამორჩეული. ასევე მათ სიძლიერეზე ძალიან დიდ გავლენას ახდენდა სვანური კოშკები, რომელიც საუკეთესო თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა. ჩვენ პირადად მოვინახულეთ სვანური კოშკები და დავრწმუნდით, რომ ეს მხარე განსაკუთრებით მდიდარია კულტურული ღირსშესანიშნაობებით. კერძოდ, სოფელ ლატალში ვნახეთ მაცხოვრის ამაღლების ეკლესია, რომელიც X-XII საუკუნეებით თარიღდება. აქვე ვნახეთ ის საოცარი ადგილები, სადაც გადაღებულია პოპულარული ქართული ფილმები „სვანი“. ვნახეთ იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც შემიძლია ვთქვა ის არის, რომ ვიმყოფებოდით სოფელ უშგულში. სიტყვა უშგულის ეტიმოლოგიას „უშიშარ გულს“ უკავშირებენ. კერძოდ ამ სოფლის იქეთ არის ერთი მხრივ რუსეთი, ხოლო მეორე მხარეს ყაბალდო ბალკანეთი. აქედან კარგად ჩანს მწვერვალი შხარა. აქვე მოვინახულეთ ლამარიას ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც X-X საუკუნეებს ეკუთვნის. „ლამარია“ სვანურია და მარიამს ნიშნავს. ტაძარს შემორტყმული აქვს გალავანი, იგი ბაზილიკის ტიპისაა. უშგულში და საერთოდ სვანეთში, უამრავი უცხოელი ტურისტი შეგვხდა, მათ შორის გერმანელი ექიმი, რომელსაც პირადად ვესაუბრეთ, ფოტოებიც გადავიღეთ. დასასრულს კი მინდა აღვნიშნო, რომ რამაც დააგვირგვინა ჩვენი ეს სასიამოვნო დღეები — ეს იყო საბაგირო, რომლის საშუალებითაც უზარმაზარ მწვერვალზე ავედით. იქედან მთელი მესტია ხელისგულივით მოჩანდა, იშლებოდა ულამაზესი ხედები. შემდეგ დავბრუნდით ჩვენი მასპინძლის ოჯახში, უღრმესი მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისათვის და აღფრთოვანებულები, სიახლეებით დატვირთულები 16 ივნისს გამოვემართეთ ბათუმისაკენ, გამოვიარეთ ზუგდიდში დადიანების სახლ-მუზეუმში.

თურმე ყოფილან ქვეყანაზე ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სტუდენტების გულის გათბობა და სასიკეთო საქმეების კეთება, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ლექტორები, უფალი იყოს მათი შემწე.

დაწყებითი განათლების კურსი ძალიან დიდ მადლობას გიხდით ოცნების ახდენისთვის. ეს დღეები მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის

გმადლობთ, ეს ძალიან პატარა სიტყვაა, მაგრამ არ არსებობს სიტყვები, რომლებსაც შეეძლებათ გამოხატონ ჩვენი მადლიერება და აღწერონ გრძნობა, რაც თქვენს მიმართ გვაქვს ბატონო შოთა და ქალბატონო დარეჯან. ამიტომ, მხოლოდ ამ უბრალო, მაგრამ ჯადოსნური სიტყვით მოგმართავთ — „გმადლობთ, მთელი გულით გმადლობთ“!

დაწყებითი განათლების სპეციალობის III კურსის სახელით

მარინე რომანაძე

მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

„მეცნიერების ნათესი ხალხის სამკალად აღმოცენდება“, - ბრძენის ეს შეგონება ცხოვრების მეგზურად ჰქონდა შუახევის საშუალო სკოლის მე-10 კლასის წარჩინებულ მოსწავლეს რამინ ცინარიძეს, როცა რამდენიმე თანატოლთან ერთად, პირველმა მოიპოვა მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდია.

სკოლა იმავე წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის სტუდენტობამ შეცვალა. საშუალო სკოლის მსგავსად მის ჩათვლის წიგნაკში მხოლოდ ფრიადი შეფასებები იყო, მეოთხე კურსიდან ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიაც მოიპოვა. ცნობილმა მეცნიერმა დავით დიასამიძემ ნიჭიერი სტუდენტის მისწრაფება რეაგირების გარეშე არ დატოვა. პირველი სამეცნიერო ნაშრომი მისი ხელმძღვანელობით დაამუშავა.

განგებამ არ დაიცალა გონიერ მწვრთნელსა და ნიჭიერ სტუდენტს ერთად მუშაობა. ახალგაზრდა მკვლევარს უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გზა გაუხსნა. იგი უნივერსიტეტში დატოვეს და ლექციების კურსის წაყვანა ანდეს. 2000 წლიდან დღემდე უწყვეტად აქტიურადაა ჩართული პედაგოგიურ და სამეცნიერო ცხოვრებაში, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და სტუდენტებს შორის. პარალელურად, თბილისში ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მაძიებლად გასაფორმებლად ყველა დოკუმენტაციარეკომენდაცია წარადგინა. ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ნოდარ ჭითანავა მომავალ კოლეგას გაესაუბრა და კმაყოფილი დარჩა, მაგრამ დედის მძიმე ავადმყოფობამ ამჯერადაც ხელი მოუცარა.

2008 წელს იგი ჩაირიცხა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტურაში. (მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ ვლადიმერ ღლონტი), რომლის სრული კურსი „ფინანსები, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა 2011 წელს.

რამინ ცინარიძე პირველი დოქტორანტია, რომელმაც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო დებულებით (ახალი მოთხოვნების შესაბამისად) წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი“ და მიენიჭა ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხი. ცნობილმა მეცნიერებმა გივი გამსახურდიამ, ეთერი ხარაიშვილმა, ასიკო ცინცაძემ (შემფასებლები) მის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს. სადისერტაციო კომისიის ყველა წევრის მხარდაჭერაც ერთსულოვანი იყო, რისი დასტურიც მაღალი შეფასება გახლდათ.

ცხოვრებაში, განსაკუთრებით მეცნიერებაში, შემთხვევითი არაფერია, სამი უნივერსიტეტის რექტორი — ალიოშა ბაკურიძე, გიორგი ღავთაძე და ამირან ტაკიძე დაესწრნენ დისერტაციის დაცვას.

რამინ ცინარიძის სახით ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ ღირსეული წევრი შეიძინა. იმედა, იგი დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებს. მეცნიერებასთან ერთად მოსიყვარულე მეუღლესა და ქალ-ვაჟსაც უერთგულებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები რამინ ცინარიძეს ულოცავენ ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას და შემდგომ წარმატებებს უსურვებენ პროფესიულ და პირად საქმიანობაში.

ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის
დეპარტამენტის თავმჯდომარე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ასიკო ცინცაძე

სასწავლებლად გამგზავრების მოლოდინში..

ვახტანგ ნაკაშიძე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტია. იგი Erasmus Mundus —ის პროგრამით გერმანიაში, გოტინგენის უნივერსიტეტში მიდის ერთი წლით სასწავლებლად.

— ვახტანგ, საიდან გაიგეთ პროგრამის შესახებ?

— პროგრამის შესახებ ქალბატონ ლელა თურმანიძისგან გავიგე, რომელიც ჩვენი კოორდინატორი და ამავე დროს ჩემი ერთ-ერთი ლექტორია. სიმართლე გითხრათ, თავიდან დიდი ინტერესით არ მივუდექი ამ საკითხს, რადგანაც ყოველთვის მეგონა, რომ ასეთ პროგრამებში მე ნაკლებად გამიმართლებდა, თუმცა როგორც ჩანს შევცდი.

— რას ითვალისწინებდა წინა საკონკურსო პირობები?

— წინა საკონკურსო პირობები ითვალისწინებდა, პირველ რიგში, აკადემიურ მოსწრებას, ასევე ინგლისური ენის ცოდნას, სამოტივაციო და სარეკომენდაციო წერილებს. თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვით, ამათგან



რომელს ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

როგორც ვიცი, ჩვენი უნივერსიტეტიდან ამ პროგრამის ფარგლებში 6 სტუდენტი მიდის სასწავლებლად, აქედან 4 ბაკალავრია. გამიმართლა იმაში, რომ ამათგან ერთ-ერთი ჩემი კურსელი ლია შავაძეა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს მასშტაბითაც საკმაოდ ბევნი ვართ. რამდენიმე მათგანი უკვე გავიცანი კიდეც.

— რას ითვალისწინებს სასწავლო პროგრამა?

— ამ პროგრამის მთავარი მიზანია განვითარებული ევროპის ქვეყნებსა და განვითარებად ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის სტუდენტების გაცვლა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სწავლების დონის ამაღლებას, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევაში ჩართვას და სხვადასხვა გამოცდილების მიღებას ამ სფეროში, ასევე მას სოციალურ-კულტურული დანიშნულებაც აქვს.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ყოველივე?

— სიმართლე გითხრათ, რეალისტი ვარ და ამ ყოველივეს მნიშვნელობას ჩემთვის მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა გავიგე უკვე ჩემი წარმატების შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს გერმანული კულტურის და განათლების სისტემის გაცნობა ჩემთვის, დავინახავ რა არის განსხვავება ქართულსა და გერმანულს შორის, მით უფრო, რომ გერმანია ევროპული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

— როგორ წარმოგიდგენიათ ის ერთი წელი, რომელსაც გერმანიაში გაატარებთ?

— პირველ რიგში ბევრს მოვინდომებ, რომ არ გავაცრუო იმედები, თუმცა მოგატყუებთ, რომ გითხრათ მხოლოდ სწავლისთვის მივდივარ. გავიცნობ ბევრ სხვადასხვა ეროვნების ადამიანს, შევიძენ მეგობრებს. შევეცდები ვნახო გერმანიის ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი, ასევე ძალიან მინდა დავესწრო გერმანიის „ბუნდესლიგის“ რომელიმე მატჩს. მოკლედ, შევეცდები მივიღო მაქსიმუმი ყველაფრისგან.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი წარმატება, შენს მონდომებასა და ნიჭთან ერთდ, რისი ან ვისი დამსახურებაა?

— ჩემს გარდა ბევრი სტუდენტი მონაწილეობდა ამ პროგრამაში, რომლებიც არანაკლებ იმსახურებდნენ გამარჯვებას, ამიტომ შეიძლება იღბალსაც მივაწეროთ ეს ყველაფერი.

— როგორ შეფასებთ დღევანდელ სტუდენტურ ცხოვრებას?

— დღევანდელ სტუდენტურ ცხოვრებას 10-იანზე ნამდვილად ვერ შევაფასებ. პირველ რიგში, ამაში ალბათ დამნაშავე ის სოციალური პრობლემებია, რომლებიც უამრავ სტუდენტს აქვს. ვგულისხმობ იმას, რომ ვერ ვატყობ სტუდენტებში აქტიურობას სხვადასხვა პროექტში, ასევე კარგი იქნებოდა რომ შეეძლოს სტუდენტთა ურავლესობას პარალელურად მუშაობა, რაც დღეს პრობლემას წარმოადგენს. თუმცა პრობლემა სტუდენტებშიცაა, მათი საკმაო ნაწილის მთავარი მიზანი დიპლომია და არა სწავლა, მაგრამ არის სტუდენტთა ნაწილი, რომლებსაც ისეთი სტუდენტური ცხოვრება აქვთ, როგორიც წარმოგვედგინა, სანამ სტუდენტები გავხდებოდით.

— რას ურჩევთ თანატოლებს?

— ახლა უფრო და უფრო ვხვდები ცხოვრების იმ პერიოდის აზრს და მნიშვნელობას, რასაც სტუდენტობა ჰქვია და მინდა, რომ ყველა ჩემმა თანატოლმა გაიაზროს ეს.

თანატოლებს პირველ რიგში ვურჩევდი, რომ არასდროს გაუშვან ხელიდან თუნდაც მინიმალური შანსი იმისა, რომ გადადგან წინ ნაბიჯი მათი განვითარებისაკენ, მით უმეტეს მაშინ, როცა დასაკარგი არაფერია. რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, „ცდა ბედის მონახევრეა“.

— როგორია ვახტანგ ნაკაშიძის, როგორც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ერთი ჩვეულებრივი დღის ისტორია?

— მე მათემატიკის სპეციალობაზე ვსწავლობ. რა თქმა უნდა, მათემატიკა რთული მეცნიერებაა და შესაბამისად მისი სწავლაც ძველი უნდა იყოს, თუმცა მას უპირატესობა აქვს, კერძოდ, ის, რომ თუ მისი ნიჭი გაქვს, სწავლაც ძალიან ადვილია. მე ამაში გამიმართლა და მოგატყუებთ თუ ვიტყვი, რომ ძალიან გადატვირთული დღე მაქვს. დრო ყველაფრისთვის მრჩება, თუმცა არ ვარ ძალიან აქტიური სტუდენტი. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ ჩემი სტუდენტობით და იმედი მაქვს, რომ ამ ერთი წლის შემდეგ უფრო კმაყოფილი ვიქნები.

საერთაშორისო სამშენებლო კოდების - „შენობის წესების“ პრეზენტაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომდგენლებმა თემურ ბოლოთაშვილმა და ვაჟა კუხიანიძემ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს, პროფეორ-მასწავლებლებსა და სხვადასხვა კომპანიის თანამშრომლებს საერთაშორისო სამშენებლო კოდები - „შენობის წესები წარუდგინეს. სტუმრებმა შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საერთაშორისო სამშენებლო კოდების საბჭოს საქმიანობასა და საქართველოში სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე. სამინისტროს საგრანტო პროექტის ფარგლებში

„შენობის წესების“ თარგმნა მიმდინარეობს, რომელიც უახლოეს მომავალში საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამშენებლო პროცესში დაინერგება.

ტოპონიმი ძეგლი და ძეგლის წმინდა სალოცავის ნაშთები

მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის „საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის“ ფარგლებში ასოცირებულმა პროფესორმა მალხაზ ჩოხარაძემ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს კლარჯეთში წარმოებული ექსპედიციის აღმოჩენა - ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესია გააცნო. ისტორიული წყაროების მიხედვით, სალოცავი მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეში, მე 19 საუკუნიდან ნახსენები აქვს არაერთ მკვლევარს, თუმცა ბოლო პერიოდამდე უცნობი იყო მისი არსებობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 და 2011 წლების ექსპედიციების წევრებმა (მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფაღავა, ზაზა შაშიკაძე) აღმოაჩინეს, რომ დღემდეა შემონახული ტოპონიმი ძეგლი და ძეგლის წმინდა სალოცავის ნაშთები.

ძეგლი ოპიზის მახლობლადაა, კლარჯეთის იმ სექტორშია, სადაც თავმოყრილია რამდენიმე მონასტერი „ათორმეტ სავანეთაგან“. კერძოდ, ოპიზა, მიძნაძორი, ხანძთა, წყაროსთავი, მერე. ძეგლი უშუალოდ ემეზობლება ოპიზას, სამანქანე გზით ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ოპიზამდე 11 კილომეტრია. სალოცავი მოქცეულია გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის არეალში. ეკლესიის ადგილმდებარეობა, მისი შემოგარენის ამჟამინდელი ფუნქცია და მასთან დაკავშირებული რწმენა წარმოდგენები ცხადყოფს, რომ იგი თავის დროზე მნიშვნელოვანი სავანე უნდა ყოფილიყო.

ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესია დიდი ზომის არ უნდა ყოფილიყო. იგი დაახლოებით 40 კვ. მ. ფართობისაა. კედლები ჩამოშლილია, მაგრამ ალაგ ალაგ ქვების წყობა 2,5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნაგებობა მე 8 9 საუკუნეებისაა, შესაძლოა, უფრო ადრინდელიც. მიმდებარე მიკროტოპონიმიკა ქართულია. ეკლესიის წინ ორი საფლავია, ადგილობრივთა თქმით, შეიდებისა, ანუ წმინდა კაცებისა. კლარჯეთის ამ სექტორში ქართული ენა აღარ ახსოვთ, თუმცა ნიშანდობლივია, რომ არაერთი თქმულება უკავშირდება თამარ მეფეს, წმინდა კაცებს, ბრძოლებს და ა.შ.

ძეგლი ზიარეთია. ზიარეთობის ტრადიცია ასოცირდება წმინდა ადგილების მოლოცვასთან, გარკვეული ვალდებულებების შესრულებასთან, მსხვერპლის შეწირვასთან. წინათ გურჯები ზიარეთში სანთლებსაც ანთებდნენ. დღეს ასეთი რამ აღარ დასტურდება.

საინტერესოა სიტყვა „ძეგლის“ ეტიმოლოგია და მისი დაკავშირება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გავრცელებულ ამავე სიტყვის მნიშვნელობასთან. ტერმინი „ძეგლი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში აღნიშნავდა გარკვეულ ვალდებულებას, დანაპირებს და ეს ვალდებულება უნდა აღსრულებულიყო, რაც გულისხმობდა სალოცავზე მისვლას და სათანადო რიტუალის აღსრულებას. „ძეგლი“ უკავშირდება სალოცავს, შესაბამისად, მრავლისმეტყველია, რომ კლარჯეთში ტოპონიმი ძეგლი დასტურდება სწორედ ეკლესიასთან, რომელიც ამავე დროს არის ზიარეთობის ტრადიციასთან დაკავშირებული ადგილი. ამ თვალსაზრისით ძეგლის წმიდა გიორგის იდუმალებით მოცული ეკლესია მრავალი საინტერესო დასკვნის საშუალებას იძლევა.

გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა იაგო კაჭკაჭიშვილმა დასავლეთ საქართველოში მოქმედი სოცმუშაკების გადამზადების პროგრამის 38 კურსდამთავრებულს სერტიფიკატები გადასცეს. გადამზადების პროგრამა ტემპუსის პროექტის ეგდით და ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორგანიზებით განხორციელდა. სასწავლო კურსს რსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები უძღვებოდნენ.

წიგნის — „ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში“ პრეზენტაცია

საციალურ მეცნიერენათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის რესურსცენტრში გაიმართა სამართლის დოქტორის, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის — გიორგი გორაძის წიგნის „ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში“ პრეზენტაცია.

საპრეზენტაციო წიგნზე ისაუბრეს სრულმა პროფესორმა მურმან გორგოშაძემ, ასოც. პროფესორებმა: მალხაზ ნაკაშიძემ და ომარ მახარაძემ. წიგნის ავტორმა დაწვრილებით ისაუბრა წიგნში დასმულ პრობლემებზე. ავტორს არაერთი შეკითხვა დაუსვეს დამსწრეებმა.



გიორგი გორაძის მონოგრაფია „ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში. კრიტიკული ანალიზი“ არის მცდელობა საქართველოსთვის შესაფერისი ტერიტორიული მოწყობის კონცეფციის შემუშავებისა. ეს კონცეფცია, როგორც თავად ავტორი აცხადებს, არ შეიძლება ეყრდნობოდეს ფედერალიზმს.

ავტორი არ იზიარებს საქართველოს ფედერალიზაციის იდეას, არ მიაჩნია, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალური ვარიანტი და გამოსავალი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. უფრო მეტიც, „ფედერალიზაციამ შესაძლოა, ერთი მხრივ, გაამწვავოს ის პრობლემები, რომლებიც დგას საქართველოს წინაშე და პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს დამატებით შეუქმნას მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით“, — შესავალშივე აცხადებს წიგნის ავტორი.

ფედერალიზმი არ არის პანაცეა და შეუძლებელია თქმა იმისა, რომ ფედერაციული სახელმწიფოები უფრო დემოკრატიულია, ვიდრე უნიტარული. დემოკრატია შეიძლება თანაბრად ყვაოდეს როგორც უნიტარულ, ისე ფედერაციულ სახელმწიფოებში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა, რომელთაც სახელმწიფოებრივი მოწყობის განსხვავებული მოდელები გააჩნიათ.

საკითხი ქვეყნის ფედერალურად მოწყობის შესახებ შეიძლება დადგეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. როდესაც არ არსებობს სახელმწიფო და ასეთი იქმნება ან 2. როდესაც არსებობს ერთიანი სახელმწიფო და მას დაშლის საფრთხე ემუქრება (სსრკ, ბელგია და სხვა), რის გამოც ფედერალიზმი ერთადერთი გზაა ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად.

ამ თვალსაზრისით, საქართველო არ აკმაყოფილებს არც პირველი და არც მეორე ვარიანტის პირობებს. საქართველოს სახელმწიფო დღეს არც შექმნის სტადიაზეა და არც კულტურულ-ლინგვისტურ ჯგუფებსა თუ კუთხეებს შორის არსებობს დაპირისპირება, რომ ამის საფუძველზე ქვეყანას დაშლა ემუქრებოდეს. რაც შეეხება აფხაზეთს, აგრეთვე ე.წ. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ავტორის აზრით, ეს პრობლემები მოგვარებადია უნიტარიზმის პირობებში, მიეცემა რა მათ ავტონომია მეტ-ნაკლებად გაფართოებული უფლებებით. რა თქმა უნდა, აფხაზეთის ავტონომიურობის ხარისხი გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ცხინვალის რეგიონის.

მიუხედავად შთამბეჭდავი სტატისტიკური მონაცემებისა, რომ დღეისათვის ფედერალურადაა ორგანიზებული დედამიწის 25 % და ფედერაციულ სახელმწიფოებში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 40 %, რომ ფედერაციულ სახელმწიფოებზე მოდის დასახლებული ხმელეთისა და მსოფლიო სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამის თითქმის ნახევარი და ა.შ., ფედერაციულ სახელმწიფოთა რაოდენობა სხვადასხვა შეხედულებით 11-დან 25 ერთეულამდე მერყეობს. ფედერაციულ სახელმწიფოთა დიდი წილი ფართობისა და მოსახლეობის თვალსაზრისით მსხვილ სახელმწიფოებზე მოდის, დიდი ტერიტორია კი ობიექტურად ითხოვს ტერიტორიულ დეცენტრალიზაციას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ფედერალურად იწოდებიან, ხშირ შემთხვევაში თავისი არსით ასეთებს არ წარმოადგენენ.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ დღეისათვის უნიტარიზმი არის სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე გავრცელებული ფორმა. მართალია, ბევრი უნიტარული სახელმწიფო განიცდის გარკვეულ დეცენტრალიზაციას, მაგრამ ამ პროცესისათვის ფედერალიზაციის კვალიფიკაციის მინიჭება გამართლებულად არ მიგვაჩნია. სახელმწიფოები დიდად არ ჩქარობენ ტერიტორიული მოწყობის უნიტარული ფორმის შეცვლას ფედერაციულით.

არსებობს საპირისპირო ტენდენციებიც — მრავალი ფედერაციული სახელმწიფო განიცდის უნიტარიზაციას, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნების, აზიისა და აფრიკის ცალკეულ ფედერაციულ სახელმწიფოებზე, ამის მაგალითები არსებობს თუნდაც გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფოების სახით, რომლებიც ოფიციალურად ფედერაციულად იწოდებიან, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის და მათი ფედერაციის სუბიექტები, ფაქტობრივად, უუფლებო რგოლებს წარმოადგენენ.

მეორე მხრივ, ავტორის აზრით, დიდია დაინტერესება სუპრანაციონალური ფედერალიზმისადმი. მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე წინა პლანზე წამოიწევს ფედერალიზმის, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ფორმის საკითხი. ამის ნიშნები არსებობს როგორც ევროპის, ისე ამერიკის კონტინენტზე. სავარაუდოდ, სახელმწიფოთა დაახლოებას მეტ სტიმულს მისცემს მსოფლიოში ჯერ კიდევ მიმდინარე ეკონომიკური და საფინანსო კრიზისი. აქედან გამომდინარე, ავტორს მიაჩნია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება.

ავტორი ეხება ევრაზიულ კავშირსაც და ამბობს, რომ სახელმწიფოთა ინტეგრაციის კონტექსტში საუბარია ევრაზიული კავშირის, ევრაზიული ფედერალიზმის შექმნაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში, თუმცა ეს იდეა, ცივი ლიზებული მსოფლიოსგან განსხვავებით, არ ემყარება ჰუმანურ და ლიბერალურ იდეოლოგიას. ევრაზიული კავშირის იდეის თითქმის ყველა წარმომადგენლისათვის დამახასიათებელია სსრკ-სადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება და ხშირად საბჭოთა იმპერიის დადებით კონტექსტში მოხსენიება. პარალელურად, ძირითადად რუსი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების მიერ, გახშირდა ფედერალიზმისა და იმპერიის ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობა და იმპერიის, როგორც დიდ ფედერაციულ სახელმწიფოდ წარმოჩენა. ამდენად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ევრაზიული კავშირი უფრო ახალი იმპერიის შექმნისა თუ ძველის რეანიმაციის მცდელობაა და ცალკეული ფსევდომეცნიერული მსჯელობებით ხდება მისი გამართლება, — ასკვნის ავტორი.

ავტორი ცალკე ქვეთავს უთმობს საქართველოს ფედერალიზაციის პროექტებს, მათ შორის ე.წ. „ბოდენის დოკუმენტს“ და კონცეფციას „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“. ავტორი საკმაო სიღრმით განიხილავს ამ პროექტებს და მათი ანალიზის შედეგად გამოთქვამს გარკვეულ კრიტიკულ შენიშვნებს. ავტორი ასევე აკრიტიკებს აფხაზეთის საკითხებთან და სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიდგომას. ავტორისათვის განსაკუთრებით მიუღებელია რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მოსაზრება, რომ თითქოს აფხაზებს უფლება აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო და მათი გადასაწყვეტია საქართველოს შემადგენლობაში იქნებიან თუ არა. გიორგი გორაძეს მიუღებლად მიაჩნია ასეთი მიდგომა და ამბობს, რომ ყველამ, ვინც აფხაზეთის დამოუკიდებლობის მიზანშეწონილობაზე აკეთებს განცხადებას, უნდა გააცნობიეროს, რომ ეს არის ეთნოწმენდის გამართლება და წახალისება.

წიგნში ცალკე ქვეთავი ეთმობა საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეთა არგუმენტებს. როგორც ავტორი ამბობს, არსებობს მრავალი მოსაზრება, რომ საქართველო უნდა გახდეს ფედერაციული სახელმწიფო. ამ მოსაზრების ავტორთა უპირველესი არგუმენტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, თუმცა გაუგებარია, როგორ შეუწყობს ხელს საქართველოს ცალკეული ისტორიული კუთხეებისა განფედერაციის სუბიექტების შექმნა, ვთქვათ, აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტას?

თუ საუბარია ორსუბიექტიან, ბიპოლარულ ფედერაციაზე საქართველოსა და აფხაზეთის კავშირის სახით, მას დიდი ხნის პერსპექტივა არ უწერია. ასეთი ფედერაციის შექმნა რომც დავუშვათ, ის დიდხანს ვერ იარსებებს და იქნება ერთ-ერთი ეტაპი აფხაზეთის არა მხოლოდ დე ფაქტო, არამედ დე იურე დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ამის მაგალითებს მრავლად იცნობს მსოფლიოს უახლესი ისტორია. ბიპოლარულ ფედერაციაზე მსჯელობისას ავტორი ცალკე განიხილავს ბელგიის ფედრაციას. როგორც ავტორი ასკვნის, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში — ბელგიაშიც კი, რომელიც ბევრს დევოლუციური და ბიპოლარული სახელმწიფოს წარმატებულ მაგალითად წარმოუდგენია, იმდენად დიდია დეზინტეგრაციული პროცესი, რომ ზოგიერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი უახლოეს მომავალში ამ ქვეყნის დაშლას წინასწარმეტყველებს.

ავტორი ეხება საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეთა სხვა არგუმენტებსაც და აღნიშნავს, რომ ისინი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ნაკლებად შეესაბამება საქართველოს სინამდვილეს.

რაც შეეხება ისეთ არგუმენტს, როგორიცაა ხელისუფლების გეოგრაფიულად ხალხთან მიახლოება და ადგილობრივი პრობლემატიკის უკეთ ცოდნა, საქართველოს შემთხვევაში ავტორს ეს უადგილოდ ეჩვენება ქვეყნის მასშტაბების გამო. ამ თვალსაზრისით, რა ფუნქციაც აკისრიათ ფედერაციის სუბიექტებს დიდ სახელმწიფოებში, იგივე ფუნქციას წარმატებით შეასრულებენ მუნიციპალიტეტები საქართველოს პირობებში. მუნიციპალიტეტები უფრო ახლოს იქნებიან მოსახლეობასთან და უკეთ ეცოდინებათ ადგილობრივი პრობლემატიკა, ვიდრე მათზე მაღლა მდგომ კიდევ ერთ დამატებით რგოლს ფედერაციის სუბიექტის სახით.

ავტორის აზრით, ბევრ უპირატესობას, რაც ზოგადად გააჩნია ფედერალიზმს, საქართველოს სინამდვილეში დაჩრდილავს ფედერალიზმისათვის დამახასიათებელი ნეგატიური გამოვლინებები და ექნება უარყოფითი ეფექტი. მაგალითად, პოლიცენტრიზმმა, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების განვითარების თანაბრობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აყალიბებს პოლიტიკური დიალოგის კულტურას, საქართველოში შესაძლოა უარყოფითი ასპექტებით იჩინოს თავი. კერძოდ, შესაძლებელია ფედერალიზმმა უფრო განამტკიცოს ბიუროკრატიული ელემენტები სახელმწიფო მართვაში, შექმნას მთელი რიგი პრობლემები ფედერაციის სუბიექტის დონეზე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების საქმიანობის თვალსაზრისით. კიდევ უფრო გართულდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რაც ისედაც წარმოადგენს ფედერალიზმის ერთ-ერთ ნაკლს, ვინაიდან ხშირი დამატებითი პოლიტიკური დიალოგის აუცილებლობა ართულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. საქართველოსთვის, რომელიც განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე დგას დიდი საფრთხების წინაშე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროული მიღებლობა შეიძლება ფატალურიც კი აღმოჩნდეს.

ფედერაციულ სახელმწიფოში მეტად მწვავედ დგას ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის კონტროლის პრობლემაც, რაც, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ასევე საქართველოს ცალკეული კუთხეების სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელი სიმწვავით იჩენს თავს. შედეგად ჩამოყალიბდება პარტიკულარული ფედერალიზმი, რაც იქნება ქვეყნის სისუსტის მიზეზი. საქართველოს ფედერალიზაცია დამატებით სტიმულს მისცემს სეპარატისტულ ტენდენციებს და ახალი დაძაბულობის კერების შექმნას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იქნება მუდმივად დაკავებული იყოს ამ კერების ჩაქრობით და არ წამოეგოს სხვადასხვა სახის პოლიტიკურ პროვოკაციაზე.

პოლიტიკური ელიტის კონტროლის პრობლემის მწარე გაკვეთილი საქართველომ უკვე გამოსცადა უახლოეს წარსულში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სახით და უკან დაბრუნების სურვილი არავის არ უნდა ამოძრავებდეს.

ფედერალიზმისათვის დამახასიათებელი უპირატესობა პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილებისა და პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბების თვალსაზრისით საქართველოს ფედერალიზაციისათვის ავტორს არსებით არგუმენტად არ მიაჩნია. პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილებისა და პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბების პრობლემა შეიძლება იდგეს დიდ სახელმწიფოებში, მაგრამ არა საქართველოში. ესეც რომ არ იყოს, პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილებისა და პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი თვითმმართველობა და პოლიტიკური პარტია, რის გამოც დამატებითი სახელმწიფო ინსტიტუტების შემოღება გამართლებულად არ მიგვაჩნია.

ფედერალიზმი დიდი ფული ღირს და, ამდენად, ფედერალიზაციის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების დანახარჯები კოლოსალურად გაიზრდება.

გარდა ამისა, როგორც ზოგიერთი ეკონომისტი ფიქრობს, ფედერალიზმის პრინციპები ვერ უწყობს ხელს ეკონომიკურ ინტეგრაციას. ფედერალიზმის შემთხვევაში საქართველოს კუთხეები ერთგვარად ჩაიკეტება. შესაძლებელია, ფედერალიზმის პირობებში ქვეყნის ცალკეული ნაწილები უფრო სწრაფად განვითარდეს, ვიდრე სხვა. ასეთი განვითარების უარყოფითი შედეგი კი შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისადმი ხელის შეშლაში, არამედ ამ გარემოებამ შესაძლებელია რეალური საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ერთიანობასაც. ფედერალური კონკურენცია შეიძლება გადაიზარდოს დესტრუქციულ, თავისი არსით დამანგრეველ პარტიკულარულ კონკურენციაში.

თუ საქართველოს უახლოეს გამოცდილებას და არსებულ საფრთხეებს გავითვალისწინებთ, ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს ფედერალიზაციას მოჰყვეს ფედერაციის ცალკეული სუბიექტების ეკონომიკური ჩაკეტილობა, ხოლო ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტი ხშირად აღმოჩნდეს ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების „ტყვე“.

ავტორის აზრით, ასევე მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს ფედერალიზმი ხელს უწყობს მოსახლეობის მეტ-ნაკლებად პროპორციულ განსახლებას სახელმწიფოს ცალკეულ რეგიონებში და, შესაბამისად, აღარ მოხდება თბილისში მოსახლეობის დიდი ოდენობით კონცენტრაცია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსგავსი პრობლემა აწუხებს როგორც ფედერაციულ, ისე უნიტარულ სახელმწიფოებს, შეიძლება ითქვას, ეს ზოგადად მეგაპოლისების პრობლემაა, რაც უფრო სოციალ-ეკონომიკურ და ფინანსურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული და არა ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან.

საქართველოს ფედერალიზაცია ვერ დაარეგულირებს ვერც ტერიტორიულ და ვერც სხვა პრობლემებს. უფრო მეტიც, ავტორს მიაჩნია, რომ იგი უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. საქართველოს ფედერალიზაციის შედეგად შემოღებული ფედერაციის სუბიექტის დონე იქნება ზედმეტი რგოლი ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც დიდ ტვირთად დააწვება ქვეყანას, როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამასთანავე, თანამედროვე ფედერაციულ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა უნიტარიზაციას განიცდის. და, თუ ეს ასეა, რა საჭიროა საქართველოში, ფაქტობრივად უნიტარულ ქვეყანაში, სახელმწიფოს მოწყობის უფრო რთული მოდელი დავნერგოთ, რათა შემდეგ კვლავ საწყის მდგომარეობას დავუბრუნდეთ?

ავტორი ასკვნის რომ საქართველო უნდა იყოს უნიტარული სახელმწიფო რამდენიმე ავტონომიით, რომელთა შორის აფხაზეთის ავტონომიურობის ხარისხი იქნება გაცილებით მაღალი და იგი იქნება აღჭურვილი მნიშვნელოვანი კომპეტენციებით. პარალელურად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციათა ფარგლები. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ავტორს ერთერთ მისაბაძ მაგალითად დანია მიაჩნია, რომელიც არის უნიტარული სახელმწიფო ორი ავტონომიით.

წიგნი მდიდარია სქოლიოებითა და ბიბლიოგრაფიით. ავტორს გამოყენებული აქვს ორასამდე წყარო როგორც ქართულ, ისე რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

მობილური ტელეფონი და ჯანმრთელობა

ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი ტემპის პირობებში, როდესაც დრო და ინფორმაცია განსაკუთრებულად ღირებული გახდა, პრიორიტეტი სწორედ ტექნიკურ საშუალებებს მიენიჭა. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი მობილური ტელეფონი და კომპიუტერული ტექნოლოგიებია.

სხვადასხვა ადამიანი მობილურ ტელეფონს განსხვავებული დანიშნულებით იყენებს, იქნება ეს მობილური კომუნიკაცია მისი სხვადასხვა სახით (ხმოვანი ფუნქციები, ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა), სურათების გაგზავნა თუ მიღება, ფოტო და ვიდეოკამერა, ინტერნეტი, როგორც გართობის საშუალება და მრავალი სხვა.

ჩვენს ცხოვრებაში, მიუხედავად მისი ასეთი დიდი როლისა, მობილური ტელეფონის მავნებლობაზეც ბევრს ლაპარაკობენ. ერთია ფიზიკური ჯანმრთელობა, ხოლო მეორე სოციალური მხარე, ადამიანების ურთიერთობაზე მობილური ტელეფონის გავლენა. მაგრამ მიუხედავად თავისი არსებობის მესამე ათწლეულისა, ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი გავლენის საკითხი ჯერაც ბურუსით არის მოცული.

არის თუ არა ჯანმრთელობისთვის საზიანო მობილური ტელეფონით სარგებლობა, ეს ოფიციალური უწყებების მიერ ჯერ სავსებით არც დადასტურებულია და არც უარყოფილი. ერთნი ფიქრობენ, რომ საზიანოა, სხვანი კი ამის დამამტკიცებელს ვერაფერს ხედავენ, თუმცა ცვლილებებსაც ვერ უარყოფენ.

მობილური ტელეფონი მუშაობის პროცესში გამოასხივებს გარკვეული სიხშირის ტალღებს, რომელთა მეშვეობითაც სხვა ტელეფონთან კავშირი მყარდება. ადამიანის ორგანიზმზე ამ გამოსხივების ეფექტის შესასწავლად, მსოფლიოს მასშტაბით, მილიონები იხარჯება.

Interphone Study Group-ის მიერ ჩატარებულ ოთხწლიან კვლევაში 13 ქვეყანაში მცხოვრები თავის ტვინის კიბოთი დაავადებული 5000 ადამიანი მონაწილეობდა. კვლევა 2004 წელს დასრულდა და მისმა ღირებულებამ 20 მილიონი ევრო შეადგინა. დადასტურდა, რომ მობილური ტელეფონების მომხმარებლებში თავის ტვინის კიბოს გაჩენის რისკი არ აღემატება არამომხმარებელთათვის არსებულ რისკს.

იმავეს ადასტურებს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC) დაკვირვებები და სტატისტიკური გათვლები, რომელიც 10 000 ადამიანზე ჩატარდა შვედეთსა და სხვა ისეთ ქვეყნებში, სადაც მობილურებს უკვე წლობით ინტენსიურად იყენებდნენ. მკვლევრები ამით არ კმაყოფილდებიან. მათ 30-წლიანი პროექტიც კი აქვთ დაგეგმილი, რომელშიც 250 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ავტორიტეტულმა ამერიკულმა ორგანიზაცია EWG-მა (Environmental Working Group) 2010 წელს გამოიკვლია მობილური ტელეფონის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. მიღებული შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიმდინარე წლის სექტემბერში ნაციონალურმა ინსტიტუტმა რაკამ აშშ-ში აღნიშნულ თემაზე გამოაქვეყნა ნაშრომი. ექიმები, ძირითადად, ეძებდნენ კავშირს უკაბელო ტელეფონების მოხმარებასა და თავის ტვინის სხვადასხვა სახის სიმსივნის ჩამოყალიბებას შორის. საბოლოოდ ყველა თანხმდება, რომ მობილური ტელეფონების გამოყენებამ ფართო მასშტაბი იმდენად ცოტა ხანია რაც მიიღო, რომ ნაადრევია დასკვნების გაკეთება.

ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტისა და დანიური ქალაქის, ორხუსის მეცნიერებმა შეისწავლეს 13 000 მოზარდის ჯანმრთელობა, რომლებიც 1990-იანი წლების მიწურულს დაიბადნენ. აღმოჩნდა, რომ პატარებს, რომელთა დედები ფეხმძიმობის პერიოდში მობილური ტელეფონით დღეში ორჯერ მაინც ლაპარაკობდა, 54%-ით მეტი მიდრეკილება ჰქონდათ განვითარების შეფერხებისკენ. კერძოდ, ისინი ჰიპერაქტიურები არიან, მათ უჭირთ თანატოლებთან კონტაქტის დამყარება, ზედმეტად ემოციურები არიან და გააჩნიათ ქცევითი პრობლემები. ხოლო თუ მობილიზებული ბავშვები თვითონაც ადრე იწყებენ მობილური ტელეფონების გამოყენებას, იგივე გადახრების რისკი 80%-ით იზრდება.

უპირველეს ყოვლისა, მობილურები ახდენენ ნეიროდეგენერატიული აშლილობის პროვოცირებას და ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლას, - ამტკიცებს ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების ცენტრის დირექტორი, ნეიროგამოსხივებათა დაცვის რუსეთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ოლეგ გრიგორიევი.

ნეიროგამოსხივებათაგან საზოგადოების დაცვის რუსეთის ნაციონალური კომიტეტის სპეციალისტებმა მოამზადეს მოხსენება „ბავშვები და მობილური ტელეფონები: მომავალი თაობა სერიოზულ საფრთხეშია“. ბავშვებს, რომლებიც იყენებენ მობილურ ტელეფონებს, შესაძლოა გამოუვლინდეთ მეხსიერების დაქვეითება, ყურადღების მოდუნება, გონებრივი და შემეცნებითი უნარების დაქვეითება, გაღიზიანებადობა, უძილობა, სტრესული რეაქციებისკენ მიდრეკილება, ეპილეპტიკური მზადყოფნის ამაღლება.

შესაძლოა მოგვიანებითი შედეგებიც: „ტვინისა და სმენით-ვესტიბულარული ნერვული სისტემის სიმსივნე (25-30 წლის ასაკში), ალცჰეიმერის დაავადება, გონების დაჩლუნგება, დეპრესიული სინდრომი და თავის ტვინის ნერვული სტრუქტურების დეგენერაციული გამოვლინებანი (50-60 წლის ასაკში)“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ რუსი მეცნიერების დასკვნები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობებში ოფიციალურად გაავრცელა.

ასევე შვედი მეცნიერები ასკვნიან, რომ მობილურების გამოყენებით ბავშვებში ტვინის სიმსივნის რისკი ხუთჯერ იზრდება. დაავადება, შესაძლოა, მაშინვე არ გამოვლინდეს და მოგვიანებით იჩინოს თავი.

შვედი მეცნიერების ამ მოსაზრებას ქართველი ექიმებიც იზიარებენ. ასოციაცია ჯანმრთელი სამყაროს სამედიცინო ექსპერტის ზურაბ ფუტკარაძის განცხადებით, მობილურების ელექტრომაგნიტური გამოსხივება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მისი თქმით, მოზარდებში ნერვული სისტემა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, რაც რისკებს კიდევ უფრო ზრდის. ამრიგად, ექიმები გვირჩევენ, რომ არ ღირს, მობილური ტელეფონებით

ისარგებლონ 12 წლამდე ასაკის ბავშვებმა.

ზოგჯერ ტელეფონებს გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და ტვინის კიბოს გაჩენაშიც კი ადანაშაულებენ.



მსგავს კვლევებში ქართველი მეცნიერებიც არიან ჩართულნი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ლაბორატორია უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კომპანია მოტოროლასთან. მეცნიერებათა კანდიდატის, დავით კაკულიას მიხედვით, კვლევები ძირითადად ორი მიმართულებით ტარდება: პირველ შემთხვევაში იკვლევენ ტელეფონის გამოსხივების ენერგიის გავლენით ადამიანის ორგანოების ტემპერატურის ზრდას. მეორე სახის ზემოქმედებას ბიოლოგიურ ზემოქმედებას უწოდებენ. თუ დასხივების დოზა დიდია, შესაძლოა, ორგანოები გადახურდეს, რაც შეუქცევად დაზიანებებს იწვევს. ამის გამო შემუშავებულია სტანდარტი, რომელიც ზედა ზღვარს აწესებს ტელეფონის გამოსხივების სიმძლავრეზე. მსხვილი მწარმოებლები ამ სტანდარტს მკაცრად იცავენ და მათი პროდუქციისგან მიღებული გამოსხივების ენერგია თითქმის ათჯერ ნაკლებია ზღვრულად დასაშვებზე. თუმცა, ულიცენზიოდ წარმოებული ტელეფონები ამ მხრივ არ კონტროლდება და, შესაძლოა, უფრო მაღალი გამოსხივება ჰქონდეთ. ასეთი ტელეფონები, რომლებსაც საქართველოში ჩინურ მობილურებს უწოდებენ, ქართულ ბაზარზე მრავლადაა.

მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ენერგია იმაზეც არის დამოკიდებული, რამდენად შორს იმყოფება აპარატი სადგურებისგან. რაც უფრო „ცუდად იჭერს“, მით ინტენსიურად ასხივებს ტელეფონი.

ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური სადგურებისგან მოშორებულ ადგილებში, სადაც სიგნალი მუდმივად სუსტია. თუმცა, ამ ეფექტის შემცირებაც ადვილია, თუ ტელეფონს თავისგან მოშორებით დავიჭერთ, რის საშუალებასაც დისტანციური გარნიტურით აღჭურვილი აპარატები იძლევა.

მეცნიერებს ისიც აინტერესებთ, რა გავლენას ახდენს მობილური ტელეფონი სპერმის ხარისხზე. კლივლენდის კლინიკის სპეციალისტებმა ახლახან რამდენიმე გამოკვლევაც კი ჩაატარეს.

ერთ-ერთი ექსპერიმენტის მსვლელობისას 32 მამაკაცის სპერმის ნიმუში საუბრის რეჟიმში ჩართული მობილური ტელეფონების გვერდით მოათავსეს. ერთსაათიანი ზემოქმედების შემდეგ სპერმატოზოიდების სიცოცხლის უნარი საგრძნობლად შემცირდა. მეორე ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, მობილური ტელეფონის დღეში 4 საათზე მეტხანს გამოყენება აუარესებს სპერმის ხარისხს.

მართალია, მეცნიერები აღიარებენ, რომ ამ სფეროში კიდევ მრავალი კვლევაა ჩასატარებელი, მამაკაცებს მაინც ურჩევენ, მობილური ტელეფონები შარვლის წინა ჯიბეში არ ჩაიდონ და უფრო ხშირად გამოიყენონ Hands-free გარნიტური. ისინი მფლობელებს ურჩევენ, საუბრისას ტელეფონი სხეულიდან ერთი მეტრის მოშორებით დაიჭირონ და გამოიყენონ ხმამაღალი კავშირის რეჟიმი, მოწყობილობა „ჰენდს-ფრი“ ან საყურისი.

ექიმები მფლობელებს ურჩევენ, შეძლებისდაგვარად არ ატარონ მობილური სხეულთან ახლოს. და ბოლოს, უმჯობესია SMS-ის გამოყენება და საუბრისგან თავის შეკავება ავტომობილით ან მატარებლით მგზავრობისას, რადგან ლითონი კიდევ უფრო აფერხებს კავშირის დამყარებას და უკვე გასაგებია, რომ კავშირი რაც უფრო ცუდია, მით მეტია გამოსხივება.

კანადაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ საჭის მართვის დროს მობილურის გამოყენება საშიშია, ისევე როგორც ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა, რადგან ყურადღების კონცენტრაცია ეცემა 30% მდე.

ამრიგად, საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ კვლევას არ შეაქვს სიცხადე მობილური ტელეფონების მავნებლობისა თუ უვნებლობის საკითხში. არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა. თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ მობილური ტელეფონი აძლიერებს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას. ყველა თანხმდება იმაზედაც, რომ ეს გამოსხივება უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო. გასაგებია, რომ მობილურებს თავს არავინ დაანებებს. მაგრამ შესაძლოა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ზიანი, რომელისც შეიძლება მან მიაყენოს ჯანმრთელობას. ამიტომაც შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები ამ მავნებლობის ხარისხის შესამსუბუქებლად:

1. გამოიყენეთ უფრო ნაკლებგამოსხივებიანი ტელეფონები;
2. შეამცირეთ საუბრების დრო მობილურებით. სასურველია დღეში ილაპარაკოთ არა უმეტეს 15 წუთისა;
3. ნაკლები ილაპარაკეთ და მეტი მოისმინეთ, რადგან ტელეფონი მეტად გამოასხივებს ინფორმაციის გადაცემისას, იქნება ეს ხმოვანი ინფორმაცია თუ ტექსტური;
4. ეცადეთ, ტელეფონი თქვენგან მოშორებით გქონდეთ;
5. ლაპარაკის დროს ისარგებლეთ „ჰენდს-ფრის“ გარნიტურით;
6. ღამით მობილური გამორთეთ. უკიდურეს შემთხვევაში კი თავიდან ერთი მეტრის მოშორებით დადეთ;
7. შეუზღუდეთ ბავშვებს მობილური ტელეფონის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი აკრძალვა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიოს ექვსმა ქვეყანამ.

გისურვებთ ჯანსაღ სიცოცხლეს! გისურვებთ ჯანმრთელობას!

გუგული დუმბაძე

ასოცირებული პროფესორი, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი

სამართალი, მმართველობა და მასმედია XXI საუკუნეში

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი ნიკოლოზ მეგრელიშვილი 2012 წლის 15-19 მაისს მიწვეული იყო ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში, სადაც ჩატარდა სამხრეთ-დასავლეთ „ნეოფიტ რილკის“ უნივერსიტეტის, სამართლისა და ისტორიის ფაკულტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სამართალი, მმართველობა და მასმედია XXI საუკუნეში“. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბლაგოევგრადის სამხრეთ-დასავლეთ „ნეოფიტ რილკის“ უნივერსიტეტს შორის წლების მანძილზე ვითარდებოდა სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობები. კონფერენციის საზეიმო გახსნაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ „ნეოფიტ რილკის“ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ივან მირჩევი და სხვა ოფიციალური პირები, ნიკოლოზ მეგრელიშვილმა წაიკითხა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის მილოცვა. კონფერენცია გაიმართა ბულგარეთის ევროკავშირის საკითხების მართვის მინისტრის ტომისლავ დონჩევის პატრონაჟით. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები: მიხეილ გეისტლინგერი („ზალცბურგის უნივერსიტეტი“, ავსტრია), სერგეი კაშკინი („მოსკოვის სახელმწიფო იურიდიული აკადემია“, რუსეთი), მილან მილანოვი (სამხრეთ-დასავლეთ „ნეოფიტ რილკის“ უნივერსიტეტი, ბულგარეთი), გაბრიელა ბელოვა (სამხრეთ-დასავლეთ „ნეოფიტ რილკის“ უნივერსიტეტის, სამართლისა და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი,ბულგარეთი), სტრასკო სტოიანოვსკი („გოცე დელჩევის სახელობის უნივერსიტეტი“, მაკედონია) კირილე ანგელოვი („სოფიის ტექნიკური უნივერსიტეტი“, ბულგარეთი) და სხვ. ნიკოლოზ მეგრელიშვილმა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები 1995-2010 წლებში“.

ვიქტორინა

2012 წლის 8 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 511 აუდიტორიაში ჩატარდა ამავე უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ვიქტორინა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტები. ვიქტორინაზე გამოტანილი შეკითხვები შეეხებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიასა და იურიდიული განათლების საკითხებს საქართველოში. ვიქტორინა მიჰყავდა იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს, ბატონ მურმან გორგოშაძეს. ვიქტორინაში მონაწილეობდა 3 გუნდი. იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა დააწესეს ვიქტორინაში გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა 100 ლარის ოდენობით.

ვიქტორინაში გაიმარჯვა და პირველი ადგილი აიღო მე-3 კურსელთა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით: მარიამ მამულაძე, ნანა თავდგირიძე, პაატა დიასამიძე, გიორგი გოგიჩაიშვილი, ირმა აბაშიძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი სტუდენტებს წარმატებებსა და შემდგომ გამარჯვებებს უსურვებს.

ათი ყველაზე ლამაზი ექსპერიმენტი ფიზიკაში

ყველასათვის ცნობილ გაზეთში The New York Times გამოქვეყნდა ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის თანამშრომლის რობერტ კრიზის (Robert Crease) და ბრუქჰევენის ნაციონალური ლაბორატორიის ისტორიკოსის სტონი ბრუკის (Stony Brook) სტატია, რომელშიც ასახულია ამერიკელი ფიზიკოსების გამოკითხვის შედეგები ათი ყველაზე ლამაზი ექსპერიმენტის გამოვლენის მიზნით ფიზიკის განვითარების მანძილზე. შედეგად ათ ყველაზე ლამაზ ექსპერიმენტად დასახელებულია:

1. ელექტრონების დიფრაქცია ხვრელებზე



1961 წელს გერმანელი ფიზიკოსის კლაუს იონსონის მიერ ექსპერიმენტალურად დამტკიცდა, რომ ინტერფერენციისა და დიფრაქციის მოვლენები, რომლებიც ვლინდებოდა სინათლის ტალღების შემთხვევაში, სამართლიანია ელემენტარული ნაწილაკების ნაკადისათვისაც. იონსონის ექსპერიმენტი პრაქტიკულად იმეორებდა ორი საუკუნის წინანდელ ტომას იუნგის ექსპერიმენტს, მხოლოდ სინათლის სხივის ნაცვლად მის მიერ გამოყენებული იქნა ელექტრონების ნაკადი. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის შედეგები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იწინასწარმეტყველეს ალბერტ აინშტაინმა და მაქს პლანკმა.

2. გალილეის ცდა თავილუფალ ვარდნილ სხეულებზე

გალილეიმ პირველად დაადგინა, რომ მძიმე სხეულები ქვემოთ ვარდება ისევე სწრაფად, როგორც მსუბუქი. იმისათვის, რომ დაედასტურებინა ეს მოსაზრება, იგი პიზის კოშკიდან ერთროულად აგდებდა ნალმტყორცნის ბირთვს მასით 80 კგ და გაცილებით მსუბუქ ტყვიას მასით 200 გრამი. ორივე სხეულს დაახლოებით ერთნაირი ფორმის მოყვანილობა ჰქონდათ. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ისინი მიწას ერთროულად აღწევდნენ. გალილეიმდე ბატონობდა არისტოტელეს შეხედულება, რომლის მიხედვითაც მსუბუქი სხეულები გარკვეული სიმაღლიდან ვარდებიან ნელა მძიმე სხეულებთან შედარებით.

3. მილიკენის ცდა ელექტრონის მუხტის განსაზღვრაზე



ამერიკელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურიატის რობერტ მილიკენის ცდით განსაზღვრულია ელექტრონის მუხტის სიდიდე. მილიკენის ექსპერიმენტში გამოკვლეულია დამუხტული ზეთის წვეთის ყოფაქცევა კონდენსატორის ელექტრულ ველში. რენტგენის სხივებით მარტივად იონიზირდებოდა ჰაერის მოლეკულები კონდენსატორის შემონაფენებს შორის, რაც განაპირობებდა დამუხტული ზეთის წვეთის მუხტის ცვლილებას. მილიკენმა დაადგინა ზეთის მუხტი იცვლებოდა დისკრეტულად ერთი და იმავე სიდიდითე, რომელიც ელემენტალური ნაწილაკის ელექტრონის მუხტის ტოლადა მიჩნეული.

3. სინათლის დისპერსია პრიზმაზე



ინგლისელი მეცნიერი ისაკ ნიუტონი სინათლის სხივს ატარებდა მინის პრიზმაში. ამ ექსპერიმენტის შედეგად ნიუტონმა დაადგინა, რომ თეთრი სინათლე შედგება შვიდი ფერისაგან: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი.

5. სინათლის დიფრაქცია ხვრელზე

ტომას იუნგი მიმართავდა სინათლის სხივს ორ ერთმანეთის მახლობლად განლაგებულ ხვრელთან, შედეგად მან აღმოაჩინა, რომ ეკრანზე მიღებული გამოსახულება არათანაბრად იყო განათებული და შედგებოდა ნათელი და ბნელი ზოლებისაგან. ასე აღმოაჩინეს სინათლის ინტერფერენციის მოვლენა, რომელიც ადასტურებდა სინათლის ტალღურ ბუნებას.

6. ჰენრი კავენდიშის ექსპერიმენტი გრავიტაციული მუდმივას განსაზღვრისათვის

ინგლისელმა ფიზიკოსმა ჰენრი კავენდიშმა განსაზღვრა გრავიტაციული მუდმივის სიდიდე. ამისათვის მან გამოიყენა სურათზე გამოსახული დანადგარი. ექსპერიმენტის შედეგად დიდი სიზუსტით განსაზღვრულია გრავიტაციული მიდმივას რიცხვითი მნიშვნელობა. ამ უკანასკნელმა კი კავენდიშს საშუალება მისცა პირველად განესაზღვრა დედამიწის მასა.

7. ერასტოფენის ექსპერიმენტი დედამიწის რადიუსის განსაზღვრაზე



ეს არის ერთ ერთი ყველაზე ძველი ექსპერიმეტი ერასტოფენ კირენელის. ის იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი და მოღვაწეობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში. მან განსაზღვრა დედამიწის სფეროს რადიუსი (მისი შედეგი დაახლოებით 6300 კმ ია, რაც თანამედროვე შედეგისაგან განსხვავდება მხოლოდ 5% ით). ზაფხულის მზიან დღეებში ქალაქ სიენში (ამჟამად ასუანი) მზე იმყოფებოდა ზენიტში და საგნებს ჩრდილი არ ჰქონდათ. იმავე დღეს და იმავე დროს ალექსანდრიაში, რომელიც 5000 სტადიით იყო დაშორებული სიენიდან მზე გადაიხარა ზენიტიდან დაახლოებით 7 გრადუსით, რაც შეადგენდა დაახლოებით სრული წრის (360ო ის) 1/50 ს. აქედან ერასტოფენმა დაადგინა, დედამიწის რადიუსი, რომელიც 250 000 სტადიის ტოლი უნდა ყოფილიყო.

8. გალილეის ექსპერიმენტი დახრილ სიბრტყეზე მოსრიალე ბირთვებით



გალილეიმ გამოიყენა დახრილი სიბრყტე გლუვი ზედაპირით და მასზე აკვირდებოდა ლატუნის ბირთვების სრიალს. წყლის საათის მეშვეობით განსაზღვრულ დროით ინტერვალში გალილეი ზომავდა მანძილს, რომელსაც ეს ბირთვები გადიოდნენ დახრილი სიბრტყის გასწვრივ. გალილეიმ დაადგინა, რომ თუ დროს გაზრდიდა ორჯერ, ბირთვები გადიოდნენ ოთხჯერ მეტ მანძილს. ამ ექსპერიმენტმა უარყო არისტოტელეს შეხედულება იმის თაობაზე, რომ ბირთვების სიჩქარე მუდმივი იქნებოდა.

9. რეზერფორდის ექსპერიმენტი α-ნაწილაკების გაბნევაზე.



ინგლისელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურიანტის ერნსტ რეზერფორდის ექსპერიმენტით დადგენილია ატომის სტრუქტურა. α-ნაწილაკების ოქროს ფოლგის გავლით და გაბნევის შესწავლით რეზერფორდი მივიდა დასკვნამდე, რომ ატომის მთელი დადებითი მუხტი თავმოყრილია ცენტრში, ძალიან მაურ და კომპაქტურ ბირთვში. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები (ელექტრონები) ბრუნავენ ამ ბირთვის ირგვლივ წრიულ ორბიტებზე. ატომის სტრუქტურის ეს მოდელი ძირეულად განსხვავდებოდა იმ დროისათვის ფართოდ დამკვიდრებულ ტომსონის მოდელისაგან, რომლის თანახმადაც დადებითი მუხტი თანაბრად იყო განაწილებული ატომის მთელ მოცულობაში, ხოლო ელექტრონები მათთან იგი მიმაგრებული. მოგვიანებით რეზერფორდის მოდელმა მიიღო სახელწოდება — ატომის პლანეტარული მოდელი (ატომის სტრუქტურა რეალურად გავს მზის სისტემას: მძიმე ბირთვი — მზე, ხოლო მის ირგვლის წრიულ ორბიტებზე მბრუნავი ელექტრონები — პლანეტები).

10. ფუკოს ქანქარა.

1851 წელს ფრანგმა ფიზიკოსმა ჟან ბერნარ ლეონ ფუკომ ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ დედამიწა მზის ირგვლის ბრუნავს. ექსპერიმენტისათვის მან 67 მეტრიანი ქანქარა გამოიყენა, რომელიც ჩამოკიდა პარიზის პანთეონის მწვერვალზე. მსგავსი ქანქარა დღემდე არსებობს სანკტ პეტერბურგში ისააკის საკათედრო.

პროფესორი ნუგზარ ღომიძე,
ფიზიკის დეპარტამენტი

იცით თუ არა ვინ შექმნა პირველი ტელევიზორი?

ნივთს, რომელიც მოწყენისა და მოდუნების საშუალებას არავის აძლევს და რომლის გარეშეც დღეს ცხოვრება უბრალოდ წარმოუდგენელია, საკმაოდ შთამბეჭდავი და დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს მეტად საჭირო ნივთი, რა თქმა უნდა, ტელევიზორია.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა დიდი ფიქრისა და შრომის შედეგად რადიოსიგნალების გადაცემა მოახერხა, მოძრავი გამოსახულების გადაცემაზე დაიწყო ფიქრი. აღნიშნული მიზნის განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა და ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ ტელევიზორის მუშაობის პრინციპს ცოტათი მაინც გაეცნობით.

პირველ რიგში, სატელევიზიო ე.წ. ვიდეიო კამერა საგანზე ფოკუსირდება, შემდეგ „კითხულობს“ გამოსახულებას ზუსტად ისე, როგორც ადამიანი კითხულობს დაბეჭდილ ტექსტს გადაცემის მსვლელობისას. ადამიანისგან განსხვავებით, სატელევიზიო კამერა გამოსახულებებს ხაზებად —სტრიქონებად ყოფს, რომელიც მცირე წერტილებისაგან —პიქსელებისაგან შედგება. ადამიანი კი ფურცელზე დაწერილს სტრიქონებად აღიქვამს.

სტრიქონებად დაყოფილი გამოსახულებები ელექტრონულ სიგნალებად გარდაიქმნება, რომლიც შესაძლებელია გადაიცეს გადამცემი პუნქტიდან მიმღებ პუნქტამდე. მიმღებ პუქტში სპეციალური მიმღები მოწყობილობა ელექტრონულ სიგნალს კვლავ გამოსახულებად გარდაქმნის.

შოტლანდიელი ფიზიკოსი ჯონ ბერდი პირველი იყო ვინც სატელევიზიო სიგნალის გადაცემა. **ჯონ ბერდი** ერთ-ერთ ქარხანაში ელექტრიკოსად მუშაობდა. მას სურდა შეექმნა ისეთი აპარატი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მოძრავი გამოსახულების გადაცემა. დიდი ფიქრისა და მონდომების შედეგად, მან შექმნა ტელეკამერის ისეთი დისკი, რომელზედაც განლაგებული იყო 30 ნასვრეტი. დისკი ბრუნავდა და ნასვრეტების მეშვეობით გამოსახულებას ხაზობრივ-სტრიქონულად ყოფდა, შემდეგ კი სინათლე ფოტოელემენტს ეცემოდა. ფოტოელემენტში წარმოქმნილი სიგნალი ტელემიმღებს გადაეცემოდა. მიმღებში სიგნალი ძლიერდებოდა და შედეგად შესაძლებელი ხდებოდა გამოსახულებების მიღება.

1925 წლის 2 ოქტომბერს ელექტრიკოსმა თავისი სხვენის ერთი ბოლოდან მეორეში სატელევიზიო გამოსახულების გადაცემა მოახერხა. პიველი, რაც ეკრანზე გამოჩნდა, ბიჭის შემკრთალი სახე იყო, რომელიც ქვედა სართულზე განთავსებულ ოთახში მუშაობდა.

1928 წელს ჯონ ბერდის პირველი სატელევიზიო გამოსახულებები ატლანტის ოკეანის გაღმაც გამოჩნდა. ასე, რომ სწორედ ჯონ ბერდის დამსახურებაა ისეთი საჭირო ნივთის გამოგონება და შექმნა, როგორიც ტელევიზორია.

იცით თუ არა რამდენი წლისაა დედამიწა?

დედამიწა მზიდან მესამე პლანეტაა. იგი უდიდესია დედამიწის ტიპის პლანეტებს შორის და სამყაროში ცნობილი ერთადერთი ადგილია, რომელიც ცოცხალი არსებებითაა დასახლებული. იგი დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის წინ წარმოიქმნა და მალევე შეიძინა თავისი ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრი მთვარე. დედამიწისა და მასზე სიცოცხლის გაჩენის შესახებ ბიბლიის, ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი მარტივად მოგვითხრობს. რაც შეეხება მეცნიერულ თეორიებს, ისინი მრავალგვარია.

გამოანგარიშებულია, რომ დედამიწა დაახლოებით - 5, ხოლო ქერქი 4,5 მილიარდი წლის წინ წარმოიქმნა. გეოქრონოლოგია ანუ გეოლოგიური წელათაღრიცხვა **ეონებად**, **ერებად, პერიოდებად** და **ეპოქებად** ყოფენ.



მეცნიერთა აზრით, **ატმოსფერო** წარმოიშვა მანტიიდან გამოთავისუფლებული აირებისაგან. თავდაპირველად დედამიწის ატმოსფერო შეიცავდა წყლის ორთქლს, მეთანს, ამიაკს, აზოტსა და სხვას. დედამიწის ზედაპირი მთვარის ამჟამინდელ ზედაპირს ჰგავდა. დიდი არეკვლისუნარიანობა ახასიათებდა, ამიტომ საშუალო ტემპერატურა არ აღემატებოდა 50 გრადუსს. თავისუფალი ჟანგბადის მნიშვნელოვანი ნაწილი 2,7 მილიარდი წლის წინ გაჩნდა. ამ პერიოდშივე გაჩნდა **ოზონის შრეც**. სიცოცხლის არსებობის პირველი ნიშნები დედამიწაზე მხოლოდ 3,5 მილიარდი წლის წინ გაჩნდა. მკვლევართა აზრით, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის გაჩენის ორი გზა არსებობს: კოსმოსური და დედამიწისეული. კოსმოსური გზის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე სხვა ციური სხეულებიდან მოხვდა. რადგან სამყაროში არსებობს ჩვენს პლანეტაზე უფრო ასაკოვანი სხეულები, ფიქრობენ რომ სხვაგან სიცოცხლე უფრო ადრე წარმოიშვა.

1865 წელს გერმანელმა მეცნიერმა **რიხტერმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ცოცხალი არსებანი დედამიწაზე კოსმოსიდან მოხვდნენ მტვრის, მეტეორებისა და სხვა ციური სხეულების დაცემით. შესაძლოა მტვერს მიკროორგანიზმი შემოჰყოლოდა. ეს ვერსია დასაშვებია, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სიცოცხლე უშუალოდ დედამიწაზე წარმოიშვა, რასაც ხელი შეუწყო მზის სითბომ, სინათლემ, წყალმა, ჰაერმა.

დედამიწა რამდენიმე შრისაგან შედგება: დედამიწის ქერქისაგან, მანტიისგან (რომელიც დედამიწის ქერქთან ერთად ლითოსფეროს შეადგენს) და ბირთვისაგან ეს აგებულება სეისმური ტალღის მიწისძვრის კერიდან ზედაპირის სხვადასხვა წერტილამდე გავრცელების შესწავლით დადგინდა. სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე იცვლება ერთი ფენიდან მეორეში გადასვლისას, რაც ფენების შედგენილობის განსხვავებითაა გამოწვეული. დედამიწის ქერქი დაყოფილია სხვადასხვა სიდიდის ლითოსფერულ ფილებად, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გადაადგილდებიან. ამ მოძრაობას აღწერს **ტექტონიკა**.

დედამიწის შესწავლა დღესაც გრძელდება და დაზუსტებული ინფორმაცია, თუ როგორ წარმოიშვა, საიდან გაჩნდა სიცოცხლე და როგორ გააგრძელებს არსებობას , კვლავ ბურუსითაა მოცული მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვები მეცნიერებს მოსვენებას უკარგავს მცდელობას არ აკლებენ, დედამიწის საიდუმლოს ფარდა ახადონ, რომელიც გალაკტიკაშია ჩამალული.

მოამზადა
მირანდა ხაჯიშვილმა

ბათუმის მოსახლეობა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში

1807 წელს ბათუმში იმოგზაურა ფრანგმა მოგზაურმა ადრიან დიუპრემ, რომლის მონაცემების მიხედვით, იმხანად, ბათუმის მთელი მოსახლეობა უდრიდა 2 ათასს კაცს, რომელთაგან ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.

მოგზაური მაშინდელ ბათუმს ასეთ შეფასებას აძლევს: ,,აქა-იქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე, აქვს ერთადერთი ღია რეიდი აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, დასავლეთით იგი დაცულია ქვიშიანი კონცხით. რეიდი ღრმაა და ხომალდებისათვის ისევე უსაფრთხოა, როგორც საუკეთესო ნავსადგურები“. [1]

აღნიშნული პერიოდისათვის დღევანდელი ბათუმი მართლაც რომ ქალაქად ჩამოყალიბების სტადიაში გახლდათ. მისი განაშენიანების დაჩქარების მიზნით, ოსმალეთის ხელისუფლება ბათუმში ჩამოსახლებას (ეროვნების მიხედვით) დიდად უწყობდა ხელს. ცნობილი მკვლევარი ს. ანისიმოვა ამასთან დაკავშირებით წერდა: ,,ბათუმის ახალი დასახლების ათვისების მიზნით, 1807 წელს ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს, 1866 წლიდან კი აფხაზ მუხაჯირებს, არენდით აეღოთ მიწის ნაკვეთები ქალაქის ტერიტორიაზე“. [2]

ოსმალეთის ხელისუფლების მსგავსმა გადაწყვეტილებამ საგრძნობლად დააჩქარა ქალაქის განაშენიანების პროცესები, რომლის პარალელურად ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა ბათუმში.

1872 წლისათვის ბათუმში მოსახელობის რაოდენობა აღემატებოდა 4970 სულს, აქედან ბერძენი იყო 350 სული, სომეხი 120 სული, ქართველი კი 4500 სული.

ბათუმში აღნიშნული პერიოდისათვის ცხოვრობდნენ აგრეთვე – თურქები, ჩერქეზები, აფხაზები და ზანგები.

1878 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 3000 სულს. მოსახლეობა ასეთი შემცირება გამოწვეული გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომით, რომლის ზეგავლენითაც ბევრი ადგილობრივი მოსახლე გადაიხვეწა თურქეთში მუჰაჯირად.

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ ბიძგი მისცა ქალაქში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, რომლის პარალელურადაც იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც.

1882 წელს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ ქალაქში იმხანად ცხოვრობდა 8661 სული, მათ შორის 6921 მამაკაცი და 1740 ქალი.

იმ დროისათვის ქალაქში ცხოვრობდა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი შემდეგი რაოდენობით: – ქართველები-3156 სული, რუსები – 980 სული, თურქები – 603 სული, სომხები – 908 სული, აფხაზები – 377 სული, სპარსელები – 112 სული, ებრაელები – 179 სული, ბერძნები – 1106 სული, გერმანელები – 145 სული, ფრანგები – 24 სული, იტალიელები – 18 სული, ინგლისელები – 10 სული. [3].

1882 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა რელიგიური მრწამსის მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა: მართლმადიდებლები – 3158 სული, სომეხ – გრიგორიანელები – 436 სული, სომეხ – კათოლიკენი და კათოლიკენი – 176 სული, პროტესტანტები – 101 სული, რუსი სექტანტები – 42 სული, იუდეველები – 179 სული, მუსლიმანები – 1282 სული. [4].

მოსახლეობის კლასიფიკაცია დასაქმების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ვაჭრები და ნოქრები – 584 სული, შინამოსამსახურეები – 582 სული, მუშები – 465 სული, მენავეები – 63 სული, ექიმები – 18 სული, ბებიაქალები – 6 სული, მეაფთიაქენი – 7 სული, მასწავლებელი – 15 სული, მხატვარი 1 სული, გაზეთის რედაქტორი – 1 სული, მკინძავი – 2 სული. [4]

1883 წლიდან ქალაქ ბათუმის გარესამყაროსთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირებამ კიდევ უფრო დააჩქარა ქალაქში მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობა, ამის პარალელურად გაიზარდა მისი მოსახლეობაც.

1890 წლის 17 ივნისს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა, რომ ქალაქში სულ ცხოვრობდა 18123 კაცი, რომელთაგან მუდმივი, ძირითადი მოსახლეობა შეადგენდა 14674 სულს. ჯარისკაცები, რეიდზე მდგარ გემთა მეზღვაურები, მოსამსახურეები, მოსწავლეები; ე. ი. ბათუმის დროებითი მცხოვრებნი შეადგენდნენ 3449 სულს. საინტერესოა, რომ მამაკაცთა რაოდენობა უდრიდა 14180 სულს, ქალთა რაოდენობა კი 3943 სულს. ბათუმის მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით იძლეოდა შემდეგ სურათს: ქართველები – 3571 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 19, 72 პროცენტი, რუსები – 4161 სული, ანუ 22,95 პროცენტი, სომხები – 3128 სული, ანუ 17,25 პროცენტი, ბერძნები 1995 სუ ლი, ანუ 11,0 პროცენტი, ებრაელები – 862 სული, ანუ 4,76 პროცენტი, თურ ქები – 1172 სული, ანუ 6,48 პროცენტი. 1890 წლის აღწერის პერიოდში სოციალური მდგომარეობის მიხედვით ბათუმში ცხოვრობდნენ: გლეხები – 6795, მეშჩანები – 4240 სული, საზღვარგარეთელი ქვეშევრდომები – 2030 სული, გაურკვეველი წოდებისანი – 1514 სული, აზნაურები – 1404 სული, ბეგები და აღები – 9 სული, თავადთა წოდებისანი – 116 სული, აზნაურთა მაძიებელი – 3 სული, შლიახტიჩი – 1 სული, მოქალაქეები – 1171 სული, ვაჭრები – 375 სული, დაბალი ჩინის პირები – 216 სული, სასულიერო წოდებისანი – 144 სული, თადარიგის ჯარისკაცები – 44 სული, ძველი მოსახლეობა – 24 სული, მაღალი ჩინის მოხელეები – 36 სული, უკანონოდ შობილნი – 6 სული, სულ – 18123 სული. აღნიშნული დროისათვის ბათუმის მოსახლეობის 51,98 პროცენტი გახლდათ წერა-კითხვის მცოდნე. [5]

1897 წლის 28 იანვარს ჩატარდა სრულიად რუსეთის მასშტაბით მოსახლეობის აღწერა, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 28508 სული, მათ შორის 20439 მამაკაცი და 8169 ქალი. აღნიშნული დროისათვის ქალაქში დროებით მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 1714 სულს. ბათუმის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით იმხანად იძლეოდა ასეთ სურათს: ქართველები – 6087 სული, რუსები – 7144 სული, სომხები – 6839 სული, ბერძნები – 274 სული, ებრაელები – 1064 სული, პოლონელები – 722 სუ ლი, გერმანელები – 299 სული, ჩერქეზები – 65 სული, თურქები – 1654 სული (უნდა აღინიშნოს, რომ იქვე, თურქებთან მიწერილი გახლდათ აჭარლები), სხვა დანარჩენი ეროვნებისანი – 1870 სული. რელიგიური მრწამსის მიხედვით აღნიშნული პერიოდისათვის ბათუმში ცხოვრობდნენ: მართლმადიდებელნი – 15495 სული, რასკოლნიკები – 137 სული, სომეხ-გრიგორიანელები – 6150 სული, სომეხ-კათოლიკენი – 662 სული, რომაელ-კათოლიკენი – 1385 სული, სხვადასხვა პროტესტანტები – 334 სული, მაჰმადიანები – 3156 სული, იუდაელები – 1179 სუ ლი, სხვა სარწმუნოებისანი – 10 სული.

ბათუმში მოსახლეობის ზრდას განაპირობებდა მრავალი სამრეწველო ობიექტის შექმნა, რომელთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის ცხადია, საჭირო იყო დიდი რაოდენობით მუშახელი.

მთელი 25 წლის განმავლობაში, სახელდობრ, 1897 წლიდან 1922 წლამდე ბათუმის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა და 1922 წლისათვის მიაღწია 32 302 სულს.

ბათუმის მოსახლეობის საშუალო ზრდა პროცენტებში წლების მიხედვით გვ აძლევს ასეთ სურათს: 1878 წლიდან 1882 წლამდე ქალაქის მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 47,0 პროცენტს, 1882 წლიდან 1886 წლამდე - 17,7 პროცენტს, 1886 წლიდან 1890 წლამდე - 5,6 პროცენტს, 1890 წლიდან 1897 წლამდე - 8,2 პრ ო ცენტს, 1897 წლიდან 1917 წლამდე - 1,1 პროცენტს. 1917 წლიდან 1918 წლამდე ქალაქის მოსახლეობის კლებამ შეადგინა 56,6 პროცენტი, რაც გამოწვეული იყო არასტაბილური მდგომარეობით, 1918 წლიდან 1920 წლამდე მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 97,8 პროცენტს, 1920 წლიდან 1922 წლამდა – 16, 9 პროცენტს, 1922 წლისათვის ბათუმში სულ ცხოვრობდა 60810 სული. აქედან გამომდინარე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქებისა. ამ ჩვენი განაცხადის დასადასტურებლად მოვიყვანთ მოსახლეობის ზრდის პროცენტებს სხვადასხვა ქალაქებში (ბათუმთან შედარებით) წლების მიხედვით:

	1897 წელი	1922 წელი	1927 წელი
სოხუმი	5,0	7,5	6,2
ფოთი	4,6	4,9	4,6
ბათუმი	17,69	26,1	15,2

ბათუმში მოსახლეობის პროცენტული ზრდა მართლაც რომ გაცილებით დიდია. [6]

1917 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 35048 სულს. 1918 წლისათვის იგი შეადგენდა 15875 სულს, აქედან ქართველები- 2238 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 14,6 პროცენტს, სომხები – 288 სულს (1918 წლისათვის სომეხი მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოიწვია ოსმალეთის ჯარის მიერ ბათუმის დაკავებამ), ანუ 1,9 პროცენტს, რუსები – 3669 სულს, ანუ 23,8 პროცენტს, ებრაელები – 750 სულს ანუ 4,9 პროცენტს, გერმანელები – 4878 სულს, ანუ 31,7 პროცენტს.

1922 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა მთლიანად შეადგენდა 60810 სულს, აქედან ქართველები – 18232 სულს, ანუ 30,0 პროცენტს, სომხები – 10720 სულს, ანუ – 17,6 პროცენტს, ებრაელები – 3699 სულს, ანუ 6,1 პროცენტს, ბერძნები 7629 სულს, ანუ 12,6 პროცენტს.

1922 წელთან შედარებით 1927 წლისათვის ბათუმში მოსახლეობა შემცირდა მთელი 20 პროცენტით. აქედან ბერძნები – 62,7 პროცენტით, ებრაელები – 48,2 პროცენტით, სომხები – 31,6 პროცენტით, რუსები – 17,0 პროცენტით. რაც შეეხება ქართველობას, იგი შემცირდა მხოლოდ 448 სულით, რაც მთელი ქართველი მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტს უდრიდა. ყოველივე ეს ქართველი მოსახლეობის სტაბილურობაზე მიგვანიშნებს. [7]

ოთარ გოგოლიშვილი

ნინო დოლიძის გახსენება

ნინო დოლიძე ერთი იმათგანია, ვისმა ამქვეყნიდან წასვლამაც დიდი ტკივილი მიაყენა ახლობლებს, ნაცნობ- მეგობრებს, კოლეგებს, სტუდენტებს, დიდსა თუ პატარას.... დრო მიდის, ცხოვრება წინ მიიწევს, ყოველდღიურობით დაღლილი თუ სიხარულით გასხივოსნებული ახლობლები დღითიდღე ძალუმად გრძნობენ, რომ მათ გვერდით აღარაა სიცოცხლით სავსე ქალი, საუკეთესო მეგობარი, იშვიათი იუმორით დაჯილდოებული ადამიანი, კომპანიის სული და გული, ჭირისა და ლხინის თანაზიარი ქალბატონი - ნინო დოლიძე..... აკლია ამ პატარა ქალაქს მისი ღიმილიანი სახე, გულიანი ხითხითი, იმედიანი განწყობილება, ის სითბო და სიყვარული, რასაც ნინო თესავდა, რასაც იგი უნაწილებდა ნაცნობ- მეგობრებს.... ვერავინ წარმოიდგენდა, მის გარეშე როგორი იქნებოდა ცხოვრება, მის გარეშე როგორ ჩაივლიდა ნებისმიერი ღონისძიება.....

ვიგონებთ მასთან ერთად გატარებულ დღეებს, იშვიათი კომიზმით სავსე სიტუაციებს, ვმხიარულობთ და ამ მხიარულებას მოულოდნელად ცვლის, სევდა, სიჩუმე, ცრემლები ....და გვრჩება ჯიუტი აზრი, რომელსაც ვერა და ვერ შევეგუეთ, რომ შენ ჩვენ გვერდით ფიზიკურად აღარა ხარ, გვრჩება მოუშუშებელი ტკივილი, რომ ველარ გაგვამხიარულებ..... ვწუხვართ, რომ ,,ხანგრძლივ ეს სოფელი არავის ახარებს , ვრწმუნდებით, რომ შენ ხანმოკლე წუთისოფელშიც მოასწარი მოგეხადა ადამიანური ვალი, უშურველად გეთესა სიკეთე და სიყვარული.... შენ ჩვენს გულებში ისევ ისეთ ლამაზ, სათნო, მომხიბლავ, მარად ახალგაზრდა ქალბატონად დარჩები...

ნანა ცეცხლაძე
მზია ხახუტაიშვილი
დიანა ახვლედიანი

ნახიჩევანის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარემ იუსუფ ტალიბოვმა უნივერსიტეტს საჩუქრად მაღალტექნოლოგიური აპარატურა გადასცა

ქ. ბათუმში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა გუსეინ ნაჯაფოვმა უნივერსიტეტს ნახიჩევანის ა.რ. უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ვასიფ იუსიფ ტალიბოვის საჩუქარი - თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურა გადასცა. სტუმრებმა რექტორთან, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესთან, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან გია აბულაძესთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ედიშერ ჩავლეიშვილთან და დეკანებთან გამართულ შეხვედრაზე სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის ინიციატივით ნახიჩევანის უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას საფუძველი რამდენიმე ხნის წინ ჩაეყარა. აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და უნივერსიტეტის რექტორთან ერთად საპასუხო ვიზიტით ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფებოდა, რომლის ფარგლებში ორი რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარემ იუსუფ ტალიბოვმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჩუქრად 2 „ჭკვიანი დაფა“, 10 კომპიუტერი შესაბამისი აღჭურვილობით, 10 პრინტერი, 2 ლეპტოპი და 2 პროექტორი გადასცა. აპარატურით ორი კაბინეტი აღიჭურვება, სადაც იგეგმება ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების, საზაფხულო სკოლების ჩატარება. ამავე კაბინეტებში აზერბაიჯანულ ენოვან მოქალაქეებს ქართული ენის, ხოლო დაინტერესებულ პირებს - აზერბაიჯანული ენის შესწავლა შეეძლებათ.

სიბრძნის თვალი

ჭაბუა ამირეჯიბის საყმაწვილო მოთხრობებს შორის „შივას თვალით“ ერთ ერთი საუკეთესოა. გარდა იმისა, რომ მწერალი კლასიკური სრულყოფით ხატავს ბავშვს, მის სულიერ სამყაროს, მის ინტერესებს და თავისებურებებს, რასაც პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური ცოდნის დიდი მარაგი სჭირდება. მოთხრობა საყურადღებოა მისი ფილოსოფიური მნიშვნელობითაც. მწერალი სრულიად ბუნებრივად და დამაჯერებლად ახერხებს 11-12 წლის ბავშვის წინაშე დასვას ფილოსოფიის ურთულესი საკითხი-ჭეშმარიტების დადგენის ცდა.

როგორც ცნობილია, ჭეშმარიტების დადგენა, როგორც ადამიანური სიცოცხლის საზრისი, ხალხურ შემოქმედებაშიც გავრცელებული ერთ-ერთი მოტივია. სიმართლესა და სიცრუეს შორის ერთი მტკაველიაო, — იტყვის ხალხური მთქმელი და თვალსა და ყურს შორის დაიდებს მტკაველს. სიცრუეა ყურით მოსმენილი, სიმართლეა თვალით დანახული. მათ შორის მანძილი ერთი მუჭის ტოლია. ჭაბუა ამირეჯიბი აგრძელებს საუბარს ამ თემაზე და ცხადყოფს, რომ შეიძლება არც თვალით დანახული იყოს უნაკლო და უეჭველი სიმართლე. მაშ, რა არის ჭეშმარიტება? მწერალი დიდაქტიკური წესების დაცვით წარმართავს საუბარს ამ თემაზე, რაც ფილოსოფიურ და პედაგოგიკურ ლიტერატურაში სწავლების „სოკრატული მეთოდის“ სახელითაა ცნობილი. დასახული მიზნის მისაღწევად მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ირჩევს მარტივ, მაგრამ უაღრესად დამახასიათებელ მოვლენას, რისი მოწმეც ყოველდღე არის ბავშვი. ეს არის მხედველობისათვის დამახასიათებელი თავისებურება: ცალი თვალით დანახული საგანი განსხვავებულად ჩანს, ვიდრე ორივე თვალით დანახული. მხატვრულ ნაწარმოებში ეს ეპიზოდი ასეა გადმოცემული: მოხუცი კაცი კალეიდოსკოპით დგას ქუჩაში და ათ კაპიკად ახედებს ბავშვებს უჩვენებს ნაირნაირ სურათებს. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პერსონაჟის აჩიკოს ყურადღება მიიქცია ინდოელთა ღმერთისშივას სურათმა. ღვთაება შივას მრავალი ხელი და სამი თვალი ჰქონდა.

„–ძია, ის ზედმეტი თვალი, შუბლის თვალი, მართლა აქვს?–ვკითხე ისევ.

– ვერა ხედავ? მართლა აქვს.

– რად უნდა?

– ვა, როგორ თუ რად უნდა. აბა ცალი თვალი დახუჭე, მაგ სურათს შეხედე. უფრო სხვანაირია თუ არა?

დავხუჭე. უფრო სხვანაირი იყო, უფრო პატარა მეჩვენა.

– სხვანაირია! – დავუდასტურე მე.

– ჰოოო! ახლა ეგ თვალი გააღე და მეორე დახუჭე!

ის თვალი გავახილე, მეორე დავხუჭე.

– ახლა სულ სხვანაირია თუ არა?

დავაკვირდი, მართლა სხვანაირი ჩანდა.

– უფრო სხვანაირია! ვთქვი მე.

– მაშ, რა გამოდის? ერთი სხვანაირად გიჩვენებს, მეორე სხვანაირად. ორივეთი ერთად როცა უყურებ, მაშინ კიდევ სხვანაირია... მართალი რომელია?

– რომელი იყო? –გამეცინა.

– ჰოოო, ეგ არის ინდოეთის ღმერთი შივა. ხედავ, რამდენი ხელი აქვს? ქვეყანაზე რამდენი საქმეა-ყველაფერს მაგის ხელი უნდა დაედოს. ღმერთი იმის ღმერთია, მართალი ხელი უნდა დაადოს. ორი თვალი ჰქონოდა, მართალს რანაირად გაიგებდა, იმიტომ სამი თვალი აქვს, ეგ მესამე თვალი მართალი თვალია. როცა ორი თვალით რამეს დაინახავს, მერე იმ დანახულს მესამე თვალით შეხედავს, მართალს იპოვის და ხელსაც დაადებს“.

ეს არის ფილოსოფიური აზრის პედაგოგიზაციის საუკეთესო ნიმუში. სწავლებაში (საშუალო, უმაღლეს სკოლაში) ამას პედაგოგიურ ენაზე პრობლემური სიტუაციის წარმოქმნა ჰქვია და ყველამ, ვისაც სურს უფრო საინტერესო გახადოს სწავლება, გულდასმით უნდა გაეცნოს მეტაფორული სათაურით ცნობილ მოთხრობას „შივას თვალით“.

აჩიკო ჩვეულებრივი, ტიპური ბავშვია. მისი ბავშვური ხასიათი კარგად ჩანს მის დაკვირვებებსა და საიდუმლოებებში. ხალასი ბავშვური გულუბრყვილობა ჩანს მის დაკვირვებაში მამის გაბრაზებაზე ქალიშვილის-აჩიკოს უფროსი დის ქეთინოს უნებართვოდ გათხოვების გამო. მამა საყვედურს ეუბნება მეუღლეს-აჩიკოს დედას: „უგროვე ძონძები და ზიზილ-პიპილოები, არა? ერთი სული ჰქონდა როდის მომცემენო, მაგეებმა გააბრიყვა!“ აჩიკო ლამაზი ნივთებით თავისი ბავშვური გატაცებით მართლა დარწმუნებულია, რომ ქეთინო გათხოვდა ლამაზი კაბებისა და საკაბეების ხელში ჩაგდებისათვის. აჩიკო ფიქრობს: „მე მგონი, მამა ნაწილობრივ მაინც მართალი იყო. ხუმრობა საქმეა ამდენი ლამაზ-ლამაზი რაღაცების ხელში ჩაგდება? გათხოვდებოდა, აბა, რას იზამდა“.

ბავშვურია აჩიკოს აღიარება ქალაქში თავისუფლად და ნებართვით გასვლის გამო: „ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლა ქალაქში... ნებართვით, თორემ ისე ბევრჯერ გავპარულვარ“.

გონიერი ბავშვის სახასიათო თვისებები იკითხება ახალი ფეხსაცმლის მიმართ აჩიკოს დამოკიდებულებაში. თამაშის დროს აჩიკომ გაიხადა ახალი ფეხსაცმელი, ჯერ, რა თქმა უნდა, უფროსი ბიჭის კარნახით, მაგრამ შინაგანად თვითონაც კმაყოფილია რომ გაიხადა: „ჩუსტები ერთმანეთს გადავაბი და მარგალზე ჩამოვკიდე. ასე ჯობდა, არ გამიცვდებოდა, შემენახებოდა. დედამ ხომ რამდენჯერმე მითხრა, ჩუსტებს არაფერი დამართო, თორემ მამაშენი არ ვიცი რას გიზამსო“.

აჩიკო უაღრესად შთაბეჭდილებიანი ბავშვია. მან ისე ღრმად განიცადა და გააზრა შივას მრავალი ხელისა და შუბლზე მესამე თვალის იდეა, რომ მყარად ჩამოყალიბდა მასში სამართლიანობის დაცვის განცდა. ფიდოს მიერ ჩუსტების წართმევის გამო დასევდიანებული აჩიკო უმალ შივას ფენომენზე ჩაფიქრდება და იტყვის: „შივას ხელებსა და თვალებზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და მგონი, ყველაფერი კარგად გავიგე: შივას რომ დავენახე, ჯერ ცალი თვალით შემომხედავდა, მერე- მეორე ცალი თვალით, მერე-ორივეთი ერთად. მერე ორივე თვალს დახუჭავდა და მესამეთი კი არ შემომხედავდა, შეხედავდა იმას, რაც თითო თითო და ორივე თვალით დაინახა და უცებ გაიგებდა, რისთვის და როგორ წაიღო ფიდომ ჩემი ჩუსტები. მერე აიღებდა და ერთ ერთ ხელს ამ „საქმეს დაადებდა“.

აჩიკო მადლიერების ხალასი გრძნობით გამორჩეული ბიჭია. ის ნამდვილად მადლიერების ნიჭით არის დაბადებული და ზოგჯერ გვაფიქრებს, რომ მადლიერების სწავლება არ შეიძლება, იმიტომ, რომ ადამიანებში ხშირად ყველაზე სრულყოფილად უმადურობა უფრო ვლინდება, ვიდრე მადლიერება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მადლიერების გრძნობა ადამიანების უმეტესობაში გაცილებით სუსტია, ვიდრე შინაური ცხოველებში. ბევრი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ მაღლდება შინაური ძაღლის მადლიერებამდე. ძაღლის ერთგულება და მადლიერება თითქოს უნაკლოა. ადამიანებს შორის უმადურობა უფრო სრულყოფილი ჩანს, ვიდრე მადლიერება. აჩიკო მადლიერების განსახიერებაა. მოთხრობაში კარგად ჩანს, როგორ ვითარებაში ასესხა ახალგაზრდა მხატვარმა, თავად უანგარო გუჯამ ფეხსაცმელების შესაძენი ფული ფეხშიშველა აჩიკოს „ასესხა“, თორემ მისი დაბრუნების იმედი უცხო ბავშვისაგან არ ჰქონდა. „ასესხა“ მხოლოდ იმიტომ, რომ თანაუგრძნო გაჭირვებაში ჩავარდნილ ბიჭს, მაგრამ აჩიკოს აღმოაჩნდა მადლიერების ნიჭი და დიდის ვაი-გლახით მიაგნო გუჯას ბინას და ფული დაუბრუნა. ამ ეპიზოდით მწერალი დიდ ზნეობრივ გაკვეთილს სთავაზობს არა მხოლოდ მოზარდ თაობას, არამედ ყველას, ვისაც ურთიერთობა აქვს მეორე ადამიანთან.

ზნეობრივი გრძნობის ესთეტიზაცია, ანუ რაც ზნეობრივია, —მშვენიერია, კარგად იკითხება მესაფლავესთან აჩიკოს შეხვედრის ეპიზოდში. მესაფლავე განსვენებული ადამიანების მოგონებებით ცხოვრებაზე ხალხური სიბრძნის ნიმუშებს ახმიანებს. იგი ურიგო და რიგიან მიცვალებულად ყოფს თავის სამწყსოში დასაფლავებულებს. ერთ დასაფლავებულის შესახებ ამბობს: „მაგისი არც ავი გამიგია, არც კარგი. რახან ისე მოკვდა, რომ ხმა არ დატოვა, **უავკარგო** ყოფილა. შენი სიცოცხლე იჯდე, პრასი ჭამო, მოკვდე, რიგიანი მიცვალებული რანაირად იქნები?“ მესაფლავის რწმენით, კაცის ავკარგიანობა სიცოცხლეში გაკეთებული კეთილი საქმეებით ფასდება. ამიტომ მეორე საფლავზე იტყვის: „ეს კაი მიცვალებულია... ამისთანა მიცვალებულები არცერთ მესაფლავეს არა ჰყავს, რაც რამე რიგიანია, სულ აქ არის, სულ ჩემთან მარხია... ამ მიცვალებულს არასოდეს უთქვამს, ქვეყანას ჯანი გავარდეს, მე ჩემი გზა მაქვსო. სულ იმას ამბობდა, ქვეყანაზე რაც რამე ხდება, ყველაფერი ჩემი საქმეაო. საცა უსამართლობას გაიგებდა, ეს კაცი იქ იყო. დაჩაგრულს ეშველებოდა. საცა ბოროტება იყო, ეს კაცი იყო იქ. ავს კაცს თვალებსა სთხრიდა. თავის მოსწრება უსამართლობას ეომებოდა. სამართლიანობას ექომაგებოდა... ვაჰ, კაცი იყო, რაღა, ნამდვილი კაცი!“

საგულისხმო შეხედულებას ავითარებს მესაფლავე ტყუილების მომგონებელ განსვენებულზე. ერთი მიცვალებული მყავს, სიცოცხლეში სულ ტყუილს ამბობდა, ერთი მართალი არ უთქვამს. ყველაფერს უჯერებდნენ, იცი, რათა?

– ტყუილები სჯეროდათ?

სჯეროდათ. კარგი ტყუილი იცოდა და იმიტომ ისეთი, რომელსაც ყველა დაიჯერებს“.

მაგრამ როცა ჯერი მიდგა ჩუსტების დაკარგვის მიზეზებზე, რითაც თავი უნდა ემართლებინა აჩიკოს თავის მშობლების წინაშე, მესაფლავე შთააგონებს მოზარდს: „ყველაზე უკეთესი მაინც ის იქნება, შინ მიხვიდე და სიმართლე თქვა“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქრისტიანული ტაძრის გამაკეთილშობილებელი ზეგავლენა ადამიანის ზნეობრივ სამყაროზე. ფეხშიშველი და წვიმით გალუმპული აჩიკო მარტო გრძნობს თავს. ფეხშიშველად შინ დაბრუნების ეშინია, ქუჩაში კი დამხმარე და შემბრალებელი არავინ არის. „საით წავსულიყავი, რა მექნა, ვისთვის შემეჩივლა ჩემი გასაჭირი! ქვეყანაზე ისეთი არავინ იყო, გავემხნევებინე, ნუგეში ეცა, არც შინ, არც გარეთ. შინ მამა გამიჯავრდებოდა, იქნებ გავეღებინა კიდეც. დედაც, ქეთინოც მასხრად ამიგდებდნენ. ბებო გამეხუტებოდა. ვერ ვიტანდი ბებოს გაბუტვას. ცრემლს ძლივს ვიკავებდი. საით წავსულიყავი? არსაით არ მინდოდა წასვლა, არავის ნახვა არ დამამშვიდებდა. ვიჯექი და ვიყავი მარტოდმარტო. თავზე წვიმა დამდიოდა, ფეხები გუბეში მქონდა და ვტიროდი. ყველამ მაწყენინა, ყველამ დამჩაგრა. ამიტომ ვტიროდი და კიდევ იმიტომ, რომ წვიმდა და ბაღი ცარიელი იყო“. ამ განცდებში მყოფს ეკლესიის ზარების ხმა მოესმა. იმედგადაწურული ბავშვი ეკლესიაში შევიდა და შვება და იმედიც იქ იპოვა. ეს იმედი წმინდა გიორგის ხატმა შთააგონა. სანთელიც მას აუნთო. მწერალი გვთავაზობს ეპიზოდს არაეკლესიურად აღზრდილი ბავშვის ცნობიერებაზე საეკლესიო წმინდანების გამაკეთილშობილებელი ზეგავლენის შესახებ. ეკლესიის ხატები აჩიკოსთანა ბავშვებისათვის არ აღიქმება როგორც სურათების გამოფენა. საეკლესიო ხატში იმედის რწმენას ხედავს მოზარდი. წმინდა გიორგის ხატის წინ მდგომი აჩიკო ასე გვიზიარებს თავის გადასვლას ახალ სამყაროში: „ძალიან კარგი სახე ჰქონდა გიორგის და ძალიან საზარელი იყო ურჩხული. ეს კაცი რომ დამხმარებოდა, ფიდოს ჩემს ახალთახალ ჩუსტებს წავართმევდით. მერე სადგურში წავიდოდით, იმ გაიძვერა კაცს პლაცკარტს უკან ჩავაბარებინებდით. გავაძევებდით, საითაც უნდოდა, იქით წასულიყო, ოღონდ იქაურობას გასცლოდა. ახლა იმ ხალხს მოვაგროვებდით და გავაგებინებდით, რომ მე კი არა, აყლაყუდა და მისი კალათიანი ქალი იყვნენ დამნაშავენი, ბოდიშს მოვახდევინებდით. იმ კაცს, რომელიც ყვიროდა დაიჭირეთ, მოიპარაო, ერთს მაინც წავარტყამდით სულელ გოგრაში. მოვრჩებოდით ამ საქმეებს და შაბათობაზე წავიდოდით. აბა, იქ იქნებოდა სეირი! ვგრძნობდი, რაღაც გამომრჩა. მეხსიერებაში ვიქექებოდი და ბოლოს ის ნოქრები მომაგონდა, სადგურის პირდაპირ ფეხსაცმლის მაღაზიაში რომ მუშაობდნენ, თავი რომ მოიყარეს და დახლის შუშებზე ჩუსტები მახატვინეს, სანამ არ მობეზრდათ. იმათ ვასწავლიდი ჭკუას. როგორ ეგონათ? ყოველივე ამას ნათლად ვხედავდი და ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. ყველაფერს მე ვაკეთებდი. გიორგი ისე იყო. ერთი გავიფიქრე, მაინც ყველაფერს მე ვაკეთებ და იმ კაცს, რაღას ვაცდენ მეთქი. მაგრამ არც მარტო დარჩენა მინდოდა! ზოგი რამ ისეთი კარგი ვიფიქრე, მომეწონა და თავიდან ვიფიქრე. ერთი სიტყვით, მშვენიერ დროს ვატარებდი, ყველას ჯავრი ამოვიყარე, ყველას თავისი ადგილი მივუჩინე...

მოთხრობა „შივას თვალით“ საყურადღებოა იმითაც, რომ კარგ მაგალითს უჩვენებს მოზარდებს ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, ბიჭურად, ღირსეულად როგორ გაარკვიონ ერთმანეთში ურთიერთობა, მხედველობაში გვაქვს ჩხუბის ეპიზოდი. ჩხუბის გარეშე არ არის ბავშვობა. სამწუხაროდ, ახლა ასეთი ჩხუბები იმართება ბიჭებს შორის, რაც ხშირად ტრაგედიით მთავრდება მხოლოდ იმის გამო, რომ ბიჭებს არ ვასწავლით ნამუსიან, რაინდულ ჩხუბს, ამიტომ მიმართავენ ისინი ცივ იარაღს, ზოგჯერ ცეცხლსასროლსაც. ასეთ ჩხუბში გამოიცდება არა ბიჭი, არამედ იარაღი. მწერალი ბიჭის გამოსაცდელად სურვილით აღწერს ერთი ჩხუბის სურათს: „კუთხიდან ბიჭებმა გამოუხვიეს. სამნი იყვნენ. ჩემი ნაცნობები დაინახეს თუ არა, ისე ეტაკნენ, ვითომ ადრევე ჰქონდათ დათქმული ჩხუბის დრო, ადგილი და წესიც... წესი იმიტომ ვახსენე, რომ იმ ბიჭებმა დააცადეს, სანამ ამათ ჩუსტებს მოუარეს, ესე იგი, ერთმა ჩუსტი მუცელთან ქამარში გაირჭო, მეორემ გვერდზე მოისროლა, ქვაფენილზე დააგდო, ჩემს ფეხთით და მხოლოდ ამის შემდეგ დასცხეს ერთმანეთს. **მაგარი ჩხუბი გაიმართა. არც ქვა უხმარიათ, არც წიხლი. მუშტებით და თავურით ჩხუბობდნენ, ძალიან ლამაზად ჩხუბობდნენ, განსაკუთრებით ჩემი ნაცნობები“.**

მწერალი კიდევ მრავალ საინტერესო სურათს ხატავს ნაწარმოებში მოზარდი თაობის ღირსეული ჩვევებით აღზრდისათვის. მაგალითად ბევრ ადამიანს უჭირს სხვას ჰკითხოს ის, რაც არ იცის, ეს კომპლექსი ახალგაზრდამ ბავშვობაშივე უნდა დასძლიოს. ჭაბუა ამირეჯიბის გმირი ამ მხრივ სანიმუშოა. ის ამბობს: „როცა რაიმე არ ვიცოდი, სხვას ვეკითხებოდი, არა მრცხვენოდა“. ეს ისეთი თვისებაა კაცის ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის დაიცავს მას უნებური შეცდომებისაგან, თავიდან ააცილებს სამარცხვინო უვიცობას.

მოთხრობა „შივას თვალით“ შესრულებულია მაღალი მხატვრული გემოვნებით. მწერალი ზომიერად იყენებს მხატვრული გამოსახვის ხერხებსა და საშუალებებს, რაც პირველ რიგში, მწერლის ფრაზას ხდის სანახაობად, აღწერილ სურათს კი მეტყველად, ცოცხალ სინამდვილედ. ასეთია, მაგალითად **კონსტრასტის** ხერხით შესრულებული ეს სურათი: **„დედა ლაპარაკობდა, მე კი ვფიქრობდი“. შედარებები:** „იმ გოგოს ნახვის სურვილი **ქავილივით** ამიტყდა“; „ისე წავიდნენ, ვითომ სკოლიდან შინ მიდიოდნენ და იღლიით წიგნები მიჰქონდათ“.

მშვენიერია ეს **ჰიპერბოლაც**: „აქ ჰაერსაც კი ვარდის სურნელება ჰქონდა. ვარდისა კი არა, უამრავი სხვადასხვა ყვავილის სურნელება“.

სათაური „შივას თვალით“ მხატვრული მეტაფორაა, რომელშიც გამოხატულია ადამიანის არსებობის ერთ-ერთი მთავარი საზრისი ვეძიებდეთ ჭეშმარიტებას და რაც შეიძლება ნამდვილ, არა მოჩვენებით, ჭეშმარიტებას. თუ ეს საზრისი ბავშვობიდანვე გამოუმუშავდება ადამიანს, იგი სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბდება ცხოვრებაში.

გიორგი (იური) ბიგილეიშვილი

ᲒᲐᲬᲣᲯᲐᲮᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲗᲘ

შანშე დარჩიაშვილი — „ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან“

მასში თავმოყრილია სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეებიის პირველ მესამედში. გამომც. თბ. არტანუჯი 2010.

ზოგიერთი სომხური წარწერა, მიწერილი ნაგებობებზე და დათარიღებული ზუსტად ან მიახლოებით, ქრონოლოგიურად არ ეკუთვნის იმ დროს მაშინაც კი, როდესაც ისინი შინაარსით ორიგინალებს წარმოადგენენ. ისინი გადაწერილია. წარწერებს აკეთებდნენ ეკლესიების გადაკეთებისას ან კიდევ პერგამენტიდან, განსაკუთრებით როცა გავრცელდა სხვადასხვა აქტის მიწერა ტაძრებსა და ნაგებობებზე.

ეს წიგნი არის ერთ-ერთი პირველი ცდა სომხურ წარწერათა შესწავლისა. წიგნში გადმოცემულია სომხური ლაპიდარული წარწერების მონაცემების კომენტირება საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში, განხილულია მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, დიპლომატიური და პოლიტიკური ხასიათის საკითხები.

ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად აღებულია XII საუკუნე, რადგან ამ პერიოდში მომრავლდა სომხურ წარწერებში ცნობები საქართველოს შესახებ, ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი XIII საუკუნის პირველი მესამედია, რადგან ამ ხანიდან დგება ახალი პერიოდი ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრებისა და საქართველო-სომხეთის ურთიერთობაშიც ახალი საფეხური იწყება.

აქ არ არის მოცემული 1222 წლით დათარიღებული ორბელთა განდევნილი შთამომავლის-ლიპარიტის სახელით შესრულებული ნორავანქის სომხური წარწერა, რადგან ეს საკითხი შეისწავლა ნ. ბერძენიშვილმა ნაშრომში „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში“.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსები — კირაკოს განძაკეკი და სტეფანოს ორბელიანი სომხურ ეპიგრაფულ მასალებს იყენებდნენ თავინთი მონათხრობის დასამტკიცებლად. ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ს. კაკაბაძის, ნ. შოშიაშვილის სპეციალურ კვლევის საგანს არ წარმოადგენდა სომხური წარწერები, მაგრამ ისინი იყენებდნენ სომხურ ლაპიდარულ წარწერებს. სომხურ ისტორიოგრაფიას დიდი ღვაწლი დასდეს ჰ. შაჰხათუნიანის, სარგის ჯალალიანტის, ნერსეს სარგისიანის კოსტანიანცის მიერ შედგენილმა კრებულებმა, საიდანაც სარგებლობდნენ ლევონდ ალიშანი, ნიკიტა ემინი, ერვანდ ლალაიანი. სომხური ეპიგრაფიკით XIX-XX საუკუნეებში დაინტერესდა რუსული არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილება, სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოება. სამეცნიერო ჟურნალებში იბეჭდებოდა ნ. მარის, ქუჩუკ იოანესოვის, გ. ოვსეფიანის და სხვათა შრომები. აღსანიშნავია ი.ორბელის და ნ. მარის ინიციატივით მოწყობილი ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს შეგროვილი წარწერები. კ.ღაფადარიანმა გამოაქვეყნა ჰაღბატის,სანაჰონისა და ჰოვჰანავანიის მონასტრის წარწერები. ამ მხრივ აღსანიშნავია ს. ერემიანის, ლ.მელიქსეთ-ბეგის, რ. ქანფოლალიანის და ა. შაგინიანის შრომები.

სომხური წარწერების უდიდესი ნაწილი მთავრდება წყევლა-კრულვით, რაც საერთოდ დამახასიათებელია ძველი აღმოსავლური ტექსტებისთვის. უძველესია ტეკორის ტაძრის წარწერა (V საუკ.). წარწერები შინაარსის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: 1. სამშენებლო; 2. ნაჩუქრობის; 3. ოფიციალური.

XII საუკუნის დავით აღმაშენებლის დროინდელი ჰაღბატის მონასტრის შეუვალობის შინაარსის მქონე წარწერების თანახმად, ჰაღბატისა და სანაჰინის მონასტრების საგადასახადო შეუვალობა დარღვეული ყოფილა და დავით აღმაშენებელს აღუდგენია ამ მონასტრების პირვანდელი სამფლობელოები და შეუვალობის საბუთიც მიუცია მისთვის. წარწერა 1123-1125 წლით თარიღდება. გადასახადები სომხური ეკლესიებიდან საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში შემოდიოდა.

1240 წელს მონღოლთა ლაშქრის წინამძღოლ ასლან ნოინს ქართველ ორბელთა გასომხებული შთამომავალი ელიგუმ ორბელია მორჩილებისთვის დაუჯილდოვებია მიწებით გარნისის პირდაპირ. ნ. ბერძენიშვილს ეს შეუძლებლად მიაჩნია, ფეოდალურ საქართველოში არსებული იურიდიული ნორმებიდან გამომდინარე რამდენადაც სომხეთის ტერიტორია ამ დროისათვის საქართველოს სახელმწიფოში შემოდიდოდა და იქ ქართული სამართლის ნორმები მოქმედებდა. ზაქარია მხარგრძელმა,როდესაც ჰაღბატის მონასტერს სოფლები შესწირა, წარწერის კრულობითი ნაწილით (წყევლა-კრულვა) მისი გაყიდვა, გაჩუქება, გადაცემა აკრძალა („მისი სული სატანის იყოს“).

სომხური ეპიგრაფიკა საინტერესოა არა მარტო საქართველოს სოციალურ-ეკომომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად, არამედ დიპლომატიკური ტერმინების დასადგენადაც.

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით XI-XV საუკუნის ქართული სამეფო საბუთების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია „სიგელი“. ეს ტერმინი ქართულ და სომხურ დიპლომატიაში ერთდროულად ჩნდება. სომხურში პირველად იგი გვხვდება სომხეთის მეფის — სუმბატ ბაგრატუნის 979 წლის ეპიგრაფიკულ საბუთებში.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი თავის „სივნიეთის ისტორიაში“ მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის სპასალარის, ივანე ორბელის მიერ თურქთა ბატონობისაგან სომხური ოლქების გათავისუფლების შესახებ.

ქართულ-სომხურ დიპლომატიაში გამოიყენებიდა „სამამულოდ დაწერილი სიგელი“ (სამემკვიდრეო), „წიგნი“, „წერილი“. აარონ მაგისტროსი აღნიშნავს, რომ მან ბიზანტიის დედოფლისაგან მოიტანა ოქრობეჭდიანი თავისუფლების წიგნი (საბუთი ანისის მცხოვრებთა გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ, ქართულში შეწყალებას, გადასახადებისაგან ანდა სასამართლოსაგან „სიგელი შეუვალობისა“ ერქვა, საბუთების ერთ ჯგუფს „სიმტკიცის წიგნი ეწოდებოდა, ასევე „უტყუარი გადაწყვეტილება“, „ურღვევი პირობა, პირობის წიგნი“, „სახსოვრის წიგნი“, „წყალობის წიგნი“.

განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშვნელი ტერმინია „ბრძანება“, რომლის გაცემა შეეძლო მხოლოდ მეფეს, კათალიკოსს და უმაღლესი თანამდებობის მოხელეებს.

შეიმჩნევა ბიზანტიის გავლენაც. .ბიზანტიაში სამეფო საბუთების აღსანიშნავად ტერმინი „ხრისობულოს ლოგოს“ იხმარებოდა, რაც ოქროსბეჭდიან საბუთს აღნიშნავდა, სომხურს კალკია „ოქრობეჭედი“ (ვოსკი მატანი სომხურად).

ნაშრომის ბოლოს წარმოგიდგენილია ანისის და ჰაღბატის მონასტრების სომხური წარწერები, რომელშიც მოხსენიებულნი არიან დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე: ჰაღბატის (ჩრ. სომხეთი) 1121 წლის წარწერა: „თვითმპყრობელმძლე და კეთილმსახური მეფე დავითის დროს, გიორგის ძისა, ძისა ბაგრატისა, რომელმაც დაიპყრო მხარენი და ნათესავნი, იყო მზრუნველი ჰაღბატისა და სანაჰინისა, აღსავსე ტკბილი და კეთილი ღმრთისმსახურებით“ ჰაღბატი აოხრების სიბნელისაგან გაათავისუფლა და შესწირა ამ წმინდა ეკლესიას ვენახი, სოფელი ყოველივე მიწითა და სანახებითა“.

ანისის 1207 წლის წარწერა: „ღმრთით კურთხეულ და კეთილმსახურ, დედოფალთ დედოფლის თამარის დროს მე, მისმა ერთგულმა მონამ დიდი იშხანთ იშხანის ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის ძემ, მანდატურთუხუცეს ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარიამ ღმრთის სურვილით აღვმართე სვეტი“.

გურამ მაისურაძე „ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან“ თბ. 2008 წ.

„მოქცევაი ქართლისაის“ კრებულში შესული „წმ. ნინოს“ ცხოვრებით ქართულსა და წმინდა ნინოს მნიშვნელობა აღმოსავლეთის საქრისტიანოს წინაშე გაცილებით დიდია, ვიდრე სომხეთისა და მისი განმანათლებლის — გრიგოლ პართელისა (გვ. 281) ქრისტიანული რწმენის სიძველითაც, აღნიშნავს გურამ მაისურაძე, ქართლი წინ უსწრებს სომხეთს, რამდენადაც ქართლისა განსაკუთრებული როლი ქრისტიანობის გავრცელებამდე წინასწარ იყო განსაზღვრული და ქართლის ამ უპირატესობას თვით აღიარებს დვინელი სომეხი მიაფორიც, ამიტომ მოხდა რომ ქრისტიანული რწმენის ჩასახვისას სომხეთი მთლიანად ქართლზე აღმოჩნდა დამოკიდებული, ვინაიდან სომეხთა ეკლესიის საფუძველი იმ ადამიანთა ძვლებზე დაიდო, რომლებიც ნინოს მიერ იყვნენ მოქცეულნი (რიფსიმიანელების და მათთან ერთად მოევლინნენ სომხეთს კ. კეკელიძე).

****

პროფესორ მარინა გიორგაძის მიერ თარგმნილი გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის ისტორიული ნაწარმოები ,,კეისრები“ ქართულ ენაზე ამ



წიგნის გამოცემის პირველი ცდაა. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისთვის დღემდე თითქმის უცნობი იყო ლათინელი მწერლის შემოქმედება. ქალბატონ მარინა გიორგაძის მიერ თარგმნილი 12 კეისრის ცხოვრება წარმოადგენს სვეტონიუსის უმთავრეს ნაშრომს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სვეტონიუსის კეისრები ნათარგმნია უშუალოდ დედნიდან. მასში ისტორიული სიზუსტითა და თანმიმდევრობით არის გადმოცემული ექვსი კეისრის ცხოვრება და მოღვაწეობა. თარგმანი დიდი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს მთარგმნელის მდიდარი ლექსიკა და გადმოცემის ოსტატობა. წიგნს თან ერთვის პოლიტიკურ ტერმინთა განმარტებები. პროფესორ მარინა გიორგაძის თარგმნილი წიგნი ,,კეისრები“ დიდ დახმარებას გაუწევს ძველი მსოფლიოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

გვერდი მოამზადა

მერაბ მეგრელიშვილმა

რედაქტორი: იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი: ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა სს „პოლიგრაფისტში“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი, გორგილაძის 91